ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა

თამარ ჯახუა

პოლარიზაცია თუ უკიდურესი რადიკალიზაცია და მისი გავლენა საქართველოს სტუდენტობაზე
(თბილისისა და ბათუმის მაგალითზე)

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: კორნელი კაკაჩია,
პროფესორი

თბილისი
2023

ანოტაცია

ევროპული საბჭოს მიერ საქართველოს ევროპული პერსპექტივის აღიარების შემდეგ, ქვეყნის სტრატეგიული მიზანი 2023 წლის ბოლოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებაა, რისთვისაც მნიშვნელოვანია 12 რეკომენდაციის შესრულება, მათ შორის, პოლარიზაციის შემცირება. არსებობს ამბიციური ნარატივი, რომ ევროკავშირმა უნდა მიიღოს უპრეცედენტო გადაწყვეტილება - წავიდეს კომპრომისზე, უპირატესობა მიანიჭოს ქართველი ხალხის, განსაკუთრებით ახალგაზრდების მისწრაფებას და მისცეს კანდიდატის სტატუსი მას, ნაცვლად პოლიტიკური სპექტრისა. ეს ნარატივი ხაზს უსვამს ფესვგადგმულ პოლიტიკურ ჩიხსა და დიქოტომიას საზოგადოებასა და ელიტებს შორის.

პოლარიზაციის საკითხის გააზრება როგორც პოლიტიკურ სპექტრში, ისე საზოგადოებაში, კრიტიკულად მნიშვნელოვანი ხდება საქართველოში კონსტრუქციული და ინკლუზიური პოლიტიკური გარემოს ხელშეწყობისთვის. ნაშრომი განიხილავს აფექტურ პოლარიზაციასა და უკიდურეს რადიკალიზაციას ქართულ პოლიტიკურ რეალობაში. ხაზს უსვამს, თუ როგორ აფერხებს ნულოვანი ჯამის პოლიტიკა შინაარსობრივ დისკურსს ელიტებში, თუმცა ამის პარალელურად, თვისებრივი კვლევის მეთოდების, ფოკუს ჯგუფის ვინეიტის ტექნიკის გამოყენებით, კვლევა ცხადყოფს, სტუდენტებში საკითხზე ორიენტირებული პოლარიზაციის ნაკლებობას. სტუდენტები ავლენენ თანხმობას და არა გამყოფ პოლარიზაციას რიგ მნიშვნელოვან თემეზე.

უკიდურესი რადიკალიზაციის საკითხის უგულებელყოფამ შეიძლება გამოიწვიოს გამყოფი პოლიტიკური გარემოს გაძლიერება და დემოკრატიული პროცესების, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროგრესის შეფერხება. კვლევა აჩვენებს ახალგაზრდა თაობაში კონსტრუქციული დისკურსის არსებობას, რაც პოზიტიურ საფუძველს გვთავაზობს პოლარიზაციისა და რადიკალიზაციით გამოწვეული პრობლემების გადასაჭრელად და კონსესუსზე ორიენტირებული პოლიტიკური კულტურის გასაძლიერებლად.

სარჩევი

შესავალი..... 4

თავი I. პოლარიზაცია - ზოგადი მიმოხილვა 10

1.1. პოლარიზაციის თეორიული ასპექტები.....11

1.2. ლიტერატურის მიმოხილვა.....15

1.3. პოლარიზაცია აღმოსავლეთ ევროპასა და ბალტიისპირეთში.....20

თავი II. პოლიტიკური პოლარიზაცია საქართველოში.....26

2.1. იდენტობის კრიზისის გავლენა პოლიტიკურ პოლარიზაციაზე.....26

2.2. პოლარიზაცია თუ პოლიტიკის რადიკალიზაცია?.....27

თავი III. სტუდენტების მასობრივი პოლარიზაცია საქართველოში 31

3.1. პოლიტიკური ელიტების როლი სტუდენტების პოლარიზაციაში.....31

3.2. მედიის გავლენა სტუდენტების პოლარიზაციაზე 35

3.3. პოლარიზაცია სტუდენტებში (ფოკუს ჯგუფის მიგნებები).....37

დასკვნა 43

გამოყენებული ლიტერატურა:.....46

დანართი:.....52

შესავალი

დღესდღეობით პოლარიზაცია არის გლობალური გამოწვევა დემოკრატიული ქვეყნებისთვის, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, ზრდის უნდობლობას დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ და ხელს უწყობს კონფრონტაციული გარემოს ჩამოყალიბებას. საქართველოში პოლარიზაცია თანამედროვე პოლიტიკური პროცესების თანმდევი მახასიათებელი და მოუგვარებელი საკითხია, რომელიც აზიანებს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესებს და აფერხებს მას შემდგომ ევროპეიზაციის გზებზე. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ცნობარის თვალსაზრისით, პოლარიზაცია უკავშირდება სხვადასხვა საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ჯგუფებში პოზიციებს შორის სხვაობის ზრდას, რაც შეიძლება გამოვლინდეს როგორც დაპირისპირების ფორმა სხვადასხვა კლასს, ფენას, სოციალურ ჯგუფსა თუ პარტიას შორის (ბიჭაშვილი, 2004). კლასიკური იდეოლოგიური პოლარიზაცია არსებობს იქ, სადაც პოლიტიკური ლიდერები და ამომრჩევლები ექსტრემალურ პოზიციებს იკავებენ მემარცხენე-მემარჯვენეობის სპექტრზე, განსხვავებით არაპოლარიზებული საზოგადოებისგან, სადაც აქტორები ცენტრის გარშემო არიან განლაგებულნი (Dalton, 2008). იდეოლოგიური პოლარიზაციის პარალელურად, არსებობს აფექტური, იგივე ემოციური პოლარიზაცია, რომლის დროსაც პოლარიზაცია ხდება ემოციებისა და აფექტური ფაქტორების გავლენით (სილაგაძე, 2023) და ამ ტიპის პოლარიზაცია, განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი ისტორიულ-კულტურული წარსულის მქონე ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა. პოლარიზაციის ფარგლებში განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ელიტების პოლარიზაცია, რომლის შემთხვევაში დაპირისპირების ძირითადი მხარეები პოლიტიკური აქტორები არიან, ხოლო მასობრივი პოლარიზაციის დროს პროცესები ფართო საზოგადოებაში მიმდინარეობს (Hetherington, 2009).

თემის აქტუალობას განაპირობებს თანამედროვე მსოფლიოში, სხვადასხვა პოლიტიკურ სივრცესა თუ საზოგადოებაში პოლარიზაციის მზარდი მნიშვნელობა, ამასთანავე CRRC-ის 2023 წლის ანგარიში, რომლის მიხედვითაც ქართული საზოგადოება ურთიერთგამომრიცხავი იდეოლოგიური პრეფერენციებით პოლუსებად

დაყოფილი არ არის (სილაგაძე, 2023). დღეს დეპოლარიზაცია ეს არის ევროკავშირის თორმეტ რეკომენდაციათა შორის პირველი პირობა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად (European Commision, 2022), თუმცა ელიტური პოლარიზაციის შემცირება ჯერ კიდევ მიუღწეველი ამოცანაა ქართული რეალობისთვის და რეკომენდაცია დღემდე შეუსრულებელია, საკითხი საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებისა კი ღიად რჩება.

საინტერესოა საქართველოს, როგორც ახალგაზრდა დემოკრატიის შემთხვევა, არსებობს თუ არა მასობრივი საკითხებზე ორიენტირებული პოლარიზაცია ქართველ სტუდენტებში, თუ არსებობს, კონკრეტულად რა სახის არის ის და რა განაპირობებს, რა გავლენა აქვს პოლიტიკურ ელიტებსა და მედიას მასზე. საქართველოს კონტექსტში, როგორც გარდამავალ დემოკრატიაში, პოლიტიკური აქტორების როლს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. საყურადღებოა, რომ საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს შეთანხმებას ქართულ პოლიტიკურ ელიტას შორის და ამასთანავე, მნიშვნელოვანია საერთაშორისო აქტორების ჩართულობაც, მათ შორის, საინტერესოა „შარლ მიშელის ხელშეკრულება“, რომელიც ევროკავშირის მედიაციით პარტიათაშორისი დიალოგის პრეცედენტის შექმნის მაგალითია.

როგორც წესი, კვლევებში ცალმხრივად, ნაწილობრივ ხდება საკითხის ახსნა და კომბინაცია იმისა თუ რა მიზეზების გამო არსებობს ქვეყანაში ელიტების პოლარიზაცია და ამის მიუხედავად, რატომ არ არსებობს მასობრივი საკითხებზე ორიენტირებული პოლარიზაცია ახალგაზრდებში, არ წარმოადგენს კვლევის ინტერესს, შესაბამისად, წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს შეისწავლოს და გაანალიზოს თუ რა სახის პოლარიზაცია არსებობს ქართულ პოლიტიკურ სპექტრში და რატომ არ არსებობს მასობრივი საკითხებზე ორიენტირებული პოლარიზაცია სტუდენტებში. კვლევის საკითხია გააანალიზოს პოლარიზაცია სტუდენტებში რეგიონული განაწილების მიხედვით თბილისსა და ბათუმში.

კვლევის მიზანია ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არსებული პოლარიზაციის ტიპის ანალიზი და გაგება იმისა თუ რა განაპირობებს, რითია გამოწვეული მსგავსი შემთხვევა; არსებობს თუ არა პოლარიზაციის ფენომენი სტუდენტებში და რა როლი აქვთ პოლიტიკურ ელიტებსა და მედიას აღნიშნულ საკითხში. ასევე, მიმოხილვა იმისა

თუ რა ძირითადი მახასიათებლები აქვს პოლარიზაციას აღმოსავლეთ ევროპასა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში და რა მსგავსება/განსხვავება შეიმჩნევა საქართველოს შემთხვევასთან. მიზნის მისაღწევად დასახულია ***ამოცანები:*** 1. მეორეული წყაროების ანალიზისა და ექსპერტებთან სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით ელიტებში არსებული პოლარიზაციის განსაზღვრა 2. პოლარიზაციის ფენომენის გაგება სტუდენტებში; 3. პოლიტიკური ელიტებისა და მედიის როლის განხილვა სტუდენტების პოლარიზაციაზე. 4. აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში არსებული პოლარიზაციის ანალიზი საქართველოსთან შედარებით პერსპექტივაში.

კვლევის ობიექტია: 1. სტუდენტები; 2. ექსპერტები; 3. პოლიტიკური ელიტები

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ***საკვლევი კითხვა*** შემდეგნაირად ფორმულირდება:

- რატომ არ არსებობს საქართველოში საკითხებზე ორიენტირებული მასობრივი პოლარიზაცია სტუდენტებში?

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ***ჰიპოთეზა*** შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- საქართველოში პოლიტიკური ელიტების უკიდურესი რადიკალიზაციის პროპაგანდის მიუხედავად, სტუდენტებში საკითხებზე ორიენტირებული მასობრივი პოლარიზაცია არ იკვეთება.

კვლევაში გამოიყოფა: დამოუკიდებელი ცვლადი - პოლიტიკური ელიტების რადიკალიზაციის პროპაგანდა, დამოკიდებული ცვლადი - საკითხებზე ორიენტირებული მასობრივი პოლარიზაცია.

კონცეპტუალიზაცია ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: საქართველოში ელიტების რადიკალიზაციის პროპაგანდა - მოიაზრება ელიტებს შორის უკომპრომისო დაპირისპირებების პროპაგანდა, საკითხებზე ორიენტირებული მასობრივი პოლარიზაციის არარსებობა კი გამოიხატება იდეოლოგიურ ვაკუუმში, რომელიც არსებობს, როგორც პარტიულ სპექტრში, ისე სოციუმში.

ცვლადების ჩამოყალიბების შედეგად, კვლევის ოპერაციონალიზაცია ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: საკითხები, რომელთა დაკავშირებითაც არსებობს საზოგადოებაში

პოლარიზაცია, მნიშვნელოვანია ინდიკატორების განსაზღვრა, თუ რამდენად მსგავსი ან განსხვავებული პოზიციები შეინიშნება მათ რიტორიკაში აქტუალური სოციალური და პოლიტიკური საკითხების მიმართ.

თეორიული ჩარჩო: ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე მიმოხილულია აფექტური ინტელექტის მოდელის თეორია, რომელიც ყველაზე ოპტიმალურად ერგება საკვლევ საკითხს, ვინაიდან, საქართველოში პოლარიზაციის აფექტური ფორმაა ყველაზე თვალშისაცემი და აქტუალური. პოლარიზაციის ემოციური ასპექტების შესწავლისთვის გამოიყენება აფექტური ინტელექტის მოდელი (Marcus, Neuman & MacKuen, 2000), რომლის მიხედვითაც ნავარაუდებია, რომ პოლიტიკური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში დიდ გავლენას ახდენს სწორედ ემოციური ფაქტორი. ამ მოდელის მიხედვით, ინდივიდები ემოციების გავლენით ახდენენ პოლიტიკურ პრეფერენციებსა და მიკუთვნებულობის არჩევანს. პოლიტიკურ შეხედულებებზე ემოციური კავშირით აძლიერებენ დამოკიდებულებებს და იწვევენ პოლარიზაციას (Marcus, Neuman & MacKuen, 2000).

მეთოდოლოგია: კვლევის პროცესში სტუდენტებში არსებული პოლარიზაციის გაანალიზების მიზნით გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდი, კერძოდ, ფოკუს ჯგუფი, რომელიც საკითხის სიღრმისეულად შესწავლის საშუალებას იძლევა. კვლევის დროს, ექსპერტებთან კონსულტაციის შემდეგ, ნახევრადსტრუქტურირებულ გზამკვლევთან ერთად საინტერესოდ იქნა მიჩნეული ვინეიტის ტექნიკის[1] გამოყენება, რაც სიახლეა საკითხის გარშემო კვლევაში, ჩატარდა ოთხი ფოკუს ჯგუფი, 12-12 სტუდენტთან. ამავდროულად, კვლევის პროცესში გამოყენებულია სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი, ნახევრადსტრუქტურირებული გზამკვლევით, ჩატარდა ხუთი სიღრმისეული ინტერვიუ დარგის ექსპერტებთან, რომლის საშუალებითაც დეტალურად დადგინდა რესპონდენტის შეხედულებები და პოზიცია. ელიტებში არსებული პოლარიზაციის განხილვისას გამოყენებულია მეორეული წყაროების ანალიზი.

[1] Vignette Methods - ქეისების შეთავაზებების გზით, ფოკუს ჯგუფებში აღქმების, მოსაზრებებისა და რწმენა-დამოკიდებულებების გამოვლენა სცენართან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხების მეშვეობით (ავტ. შენიშვნა)

შერჩევა: კვლევის ობიექტების შესარჩევად გამოყენებულია არაშემთხვევითი, მიზნობრივი შერჩევა, სხვადასხვა ფოკუს ჯგუფისთვის შეირჩა 12-12 სტუდენტი ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. უზრუნველყოფილ იქნა ჯგუფში ჰომოგენურობა. სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარებისთვის გამოყენებულია მიზნობრივი, არაალბათური შერჩევა. ხუთი რესპონდენტის შერჩევის პროცესში მოხდა იმის გათვალისწინება უშუალოდ ჰქონდათ თუ არა შეხება ექსპერტებს პოლიტიკურ პოლარიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებთან.

კვლევის ლიმიტი: კვლევის პერიოდის სიმცირიდან გამომდინარე, კვლევა ლიმიტირებულად ჩატარდა მხოლოდ ბათუმისა და თბილისის რამდენიმე უნივერსიტეტში, რაც შესაძლოა არ იძლეოდეს სრულიად საქართველოში არსებულ საერთო სურათს, თუმცა გამოყოფს ძირითად ტენდენციებს. საბაკალავრო ნაშრომის მოცულობის სიმცირიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა დეტალიზებული მაგალითების წარმოდგენა ქვეყნების მიხედვით, სიღრმისეულად არ არის გადმოცემული ზოგადად, საქართველოს, აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითები სტუდენტებთან მიმართებაში, საინტერესო იქნებოდა ამ კუთხით, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კიდევ სხვა წამყვანი ქვეყნების მაგალითების განხილვაც.

გამოყენებული ლიტერატურა: ნაშრომი ძირითადად დაფუძნებულია პოლარიზაციისა და რადიკალიზაციის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე. არჩილ გეგეშიძისა და თომას დე ვაალის კვლევაში - „დაყოფილი საქართველო: პოლარიზაციის მძევალი“ (გეგეშიძე & ვაალი, 2021), საქართველოში პოლარიზაციისთვის დამახასიათებელი თვისებები და კავშირებია იდენტიფიცირებული კულტურულ-პოლიტიკური დაპირისპირებების ასპექტში. ნაშრომში განხილულია ქართული პოლიტიკის ისტორიულ-კულტურული საფუძვლები, დამოუკიდებლობის შემდგომ გამოწვეული ქართული პოლიტიკური პოლარიზაციის მაგალითები და, ბოლოს, თანამედროვე ტენდენციები ქართულ პოლარიზაციაში (გეგეშიძე & ვაალი, 2019). აღსანიშნავია აქსელორდის, დეიმიუდისა და ფორესტის ავტორობით ნაშრომი “Preventing Extreme Polarization of Political Attitudes”

(2021), სადაც წარმოჩენილია, უკიდურესი პოლარიზაციის ნეგატიური გავლენები დემოკრატიზაციის პროგრესზე. ყურადღება გამახვილებულია რომ იდეოლოგიური პოლარიზაცია, უპირველეს ყოვლისა, ელიტაზე მოქმედებს და არა ფართო საზოგადოებაზე, ამასთანავე ავტორები იკვლევენ პოლარიზაციის რადიკალიზაციას. სომერისა და მაკკოის ნაშრომში (Somer & McCoy, 2018) განხილულია პოლიტიკურად პოლარიზებული საზოგადოებები თანამედროვე ამერიკაში და აღნიშნული საკითხი სიღრმისეულადაა გაანალიზებული (Somer & McCoy, 2018). რადიკალიზაციის კუთხით, სიღრმისეული ანალიზია წარმოდგენილი ჰარდის ნაშრომში, სადაც ხაზგასმულია რადიკალიზაციის გამომწვევი მიზეზები (Hardy K., 2018).

ნაშრომის სტრუქტურა: წარმოდგენილი ნაშრომი შედგება სამი თავისგან. პირველი თავი მოიცავს პოლარიზაციის თეორიული ასპექტების, პოლარიზაციის საკითხზე არსებული ლიტერატურისა და აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების შემთხვევის შესწავლას, მეორე თავში წარმოდგენილია საქართველოს პოლიტიკური პოლარიზაციის მაგალითები, იდენტობის კრიზისის გავლენა პოლიტიკურ პოლარიზაციაზე, პოლარიზაციისა და პოლიტიკის რადიკალიზაციის გამიჯვნა/შედარება, ხოლო მესამე თავი ეთმობა უშუალოდ სტუდენტების მასობრივ პოლარიზაციას საქართველოში, სადაც განხილულია პოლიტიკური ელიტების როლი და მედიის გავლენა, წარმოდგენილია ფოკუს ჯგუფის შედეგები და ძირითადი მიგნებები.

თავი I. პოლარიზაცია - ზოგადი მიმოხილვა

სამოქალაქო განათლების ლექსიკონში[2] პოლარიზაცია განმარტებულია როგორც განსხვავებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჯგუფებს შორის პოლარულობა ანუ სხვაობის ზრდა და, შესაბამისად, ურთიერთდაპირისპირება. პოლარიზაცია შესაძლებელია გამოიწვიოს სხვადასხვა მიმართულებით არსებულმა სოციო-კულტურულმა, პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, რელიგიურმა განსხვავებებმა. პოლარიზაციის საფუძვლები მოდის საერთო ინტერესებისა თუ პრობლემების მქონე ჯგუფების ჯგუფური აზროვნებიდან და, როგორც წესი, ვლინდება გარკვეული ცხოვრებისეული თუ საქმიანობის უთანასწორობის შემთხვევებში. აღსანიშნავია, რომ მკვლევრების დაკვირვებით, პოლარიზების მაღალი მაჩვენებლების შემთხვევაში, საზოგადოებაში დიდია ეკონომიკური პრობლემების მაჩვენებლებიც და ქვეყნებში, რომლებშიც თვალშისაცემი პოლარიზაციაა გაბატონებული, ეკონომიკური მდგომარეობაც არასახარბიელოა, რაც თავისთავად, იწვევს პრობლემებს სხვა ისეთ ასპექტებში, როგორებიცაა - პოლიტიკა, სოციალური ურთიერთობები, გავლენას ახდენს ცხოვრების დონის ხარისხზე (Woo, 2003).

პოლარიზება, შეიძლება დაიყოს სოციალურ და პოლიტიკურ ტიპებად, ვინაიდან ის შესაძლოა წარმოიშვას განსხვავებული ფაქტორებიდან. სოციალურ ფაქტორებს მიეკუთვნება - ეთნო-კულტურული, გენდერული, ეკონომიკური, განათლების დონეების სხვაობები, ხოლო პოლიტიკურს - იდეოლოგიური სხვაობები. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში ორივე ტიპის, სოციალურიც და პოლიტიკურიც, ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და შესაძლოა ერთის არსებობამ გამოიწვიოს მეორეც. პოლიტიკურ პოლარიზაციას საზოგადოებაში იწვევს განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები, რწმენები, ხოლო სოციალურს - საზოგადოებაში განათლების დონის სხვაობა, ეთნიკური მიკუთვნებულობა, რელიგიური განსხვავებები (ქაფიანიძე, 2017).

პოლარიზაცია განიხილება ერთ-ერთ პოლიტიკურ იარაღად, რომელიც პოლიტიკური მიმართულებით ამძაფრებს განსხვავებულობის აღქმას საზოგადოებაში

[2] პოლარიზაცია - განმარტება, სამოქალაქო განთლების ლექსიკონი - http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=5750 - გადამოწმებულია 17/06/2023

და წარმოშობს „ჩვენისა“ და „მათის“ ცნების ხაზგასმის აუცილებლობას (Somer & McCoy, 2018).

შეჯამების სახით, პოლარიზაცია არის საზოგადოებაში გარკვეული მახასიათებლების მიხედვით დიფერენცირება, რაც გამოხატულია განსხვავებული ჯგუფების მიმართ დაპირისპირებით. რიგ შემთხვევებში, ამ ტიპის დაპირისპირება იწვევს კონფლიქტს, თუმცა კვლევების მიხედვით, მეტ-წილად პოლარიზებულობით გამოირჩევიან ასაკოვანი ადამიანები, ასევე, ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები, რელიგიური და პარტიული ჯგუფები (სილაგაძე, 2023).

1.1. პოლარიზაციის თეორიული ასპექტები

წარმოდგენილი ნაშრომის საკვლევი საკითხის სიღრმისეული ანალიზისთვის მნიშვნელოვანია არსებული თეორიული პერსპექტივების გააზრება, ამისათვის კი პოლიტიკური პოლარიზაციის, რადიკალიზაციის, ელიტის, სოციალური იდენტობისა და ჯგუფების პოლარიზაციის თეორიული ჩარჩოების განხილვა. ამასთანავე საინტერესოა პოლიტიკური ელიტების რადიკალიზაციის განმაპირობებელი ფაქტორები, როგორებიცაა პოლიტიკური დაპირისპირებები და ძალაუფლება, სოციო-ეკონომიკური გარემოებები, მედიის გავლენა, ისტორიული კონტექსტი, იდეოლოგიური ექსტრემიზმისა და პოპულიზმის გამოხატულება. ამასთან, ექსტრემისტული რადიკალიზაციის გავლენის ხელშემწყობი ასპექტები მასობრივ პოლარიზაციასთან მიმართებაში - დანაყოფებისა და ფრაგმენტაციის გაძლიერება, „ჩვენი“ და „შენი“ ფაქტორების ანუ შიდა და გარე ჯგუფების გამოხატულება, მობილიზაცია და საპროტესტო მოძრაობები, ნდობის დეფიციტი და დემოკრატიზაციის პროცესის შეფერხება ან მოშლა.

სომერისა და მაკკოის ნაშრომში (Somer & McCoy, 2018) პოლიტიკურად პოლარიზებულ საზოგადოებებად მიჩნეულია ისეთი საზოგადოებები, რომლებიც ქვეყნის შიდა საზღვრებში აყალიბებენ თუნდაც ორ ჯგუფს და აქვთ რომელიმე ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის შეგრძნება („ჩვენ“ – „ისინი“). ავტორებს მაგალითად მოჰყავთ თანამედროვე ამერიკაში დაყოფილი ძირითადი ჯგუფები - ე.წ. „ნამდვილი ამერიკელები“ და „ემიგრანტები“ (Somer & McCoy, 2018). თუმცა, ასევე ვლინდება ქვეჯგუფებად პოლარიზების შემთხვევებიც. ასეთ პოლარიზებას ხელს უწყობს

განსხვავებული პოლიტიკური იდეები, სპეციფიკური სოციალური მიკუთვნებულობა გარკვეულ თემთან (Somer & McCoy, 2018). მკვლევრების (Yang et al., 2016) დაკვირვებიდან ჩანს, რომ პოლარიზაციის საფუძვლები მაშინ ჩნდება, როდესაც ინდივიდი შინაგანად იწყებს გარკვეული განსხვავებების აღქმას და რომელიმე კონკრეტული პოლისისკენ მიკუთვნებულობას. ხშირია შემთხვევები, როდესაც ქვეყნებში, სადაც პოლარიზაცია მკვეთრად გამოხატულ ფორმას იღებს, ინდივიდებს აიძულებენ კონკრეტული მხარე აირჩიონ - რომ არ იყვნენ გარიყულები და ისეთი პოლიტიკური თუ სოციალური შეხედულებები ჰქონდეთ, როგორიც აქვთ მათ თემს (Vecchi, Silva & Angel, 2021).

რადიკალიზაციის ცნებას თეორიულ ასპექტში რამდენიმე ახსნა აქვს, რაც ეყრდნობა რადიკალიზაციის გამომწვევ მიზეზებს. ზოგადად, მეცნიერები თანხმდებიან იმაზე, რომ რადიკალიზაცია არის ექსტრემისტული შეხედულებებისა და ძალადობრივი აქტის ჩადენის პროპაგანდისკენ მიმართული მოძრაობა-პროცესი. ხშირად, მას ტერორიზმისკენ მიმავალ ბილიკსაც უწოდებენ. ადამიანების რადიკალიზაციას იწვევს სხვადასხვა მიზეზი და პერსპექტივა, რომლებიც გამოწვეულია ფსიქოლოგიური, ეკონომიკური თუ სხვა სოციალური ფაქტორებით. აქედან გამომდინარე, რადიკალიზაცია არის კომპლექსური სფერო და მას არ აქვს რაიმე კონკრეტული გამომწვევი მიზეზები, რაც ართულებს ძალადობრივი ქმედების წინასწარ იდენტიფიცირებასა და პრევენციებს. ამის ნათელი მაგალითია ტერორისტული შეტევები მთავრობების წინააღმდეგ. რადიკალიზაციის რისკების აღმოსაფხვრელად, არსებობს ანტი-ტერორისტული დაჯგუფებები, რომლებიც სხვადასხვა სამთავრობო უწყებასთან თანამშრომლობით და ცდილობენ ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის რისკები მინიმუმამდე დაიყვანონ ან ძირეულად აღმოფხვრან (თუმცა ეს საკითხი, დღემდე, რთული მოსაგვარებელია) (Hardy K., 2018).

პოლიტიკური ელიტების თეორია მოიცავს სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერების პერსპექტივებით გამოყოფილ ისეთ ასპექტებს, რომლებიც ფოკუსირებულია პოლიტიკურ სისტემაში ძალაუფლების მქონე ინდივიდების შერჩეული ჯგუფის როლისა და გავლენის იდენტიფიცირებაზე. პოლიტიკური ელიტების წარმომადგენლები არიან პოლიტიკოსები, პოლიტიკური პარტიის

ლიდერები, ხელისუფლების წარმომადგენლები, გავლენიანი პირები, მაღალი რანგის ბიუროკრატები. პოლიტიკური ელიტის თეორიის შესწავლის ობიექტია ელიტების მიერ პოლიტიკური პროცესების ჩამოყალიბება, გადაწყვეტილებების მიღება და პოლიტიკური შედეგები, პოლიტიკურ სისტემებში გავლენების, ძალაუფლებისა და ავტორიტეტის მოპოვების დინამიკა, ასევე, ელიტისა და ფართო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის ურთიერთკავშირი. ამ თეორიის თანახმად, დემოკრატიულ მმართველობასა და სოციალურ თანასწორობაზე შესაძლოა დიდი გავლენა იქონიოს რამდენიმე გავლენიანი პირის (პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლის) ძალაუფლებამ. თეორიაში ასევე შემოთავაზებულია პოლიტიკური ელიტების როლის კონცეფცია პოლიტიკური სისტემების ჩამოყალიბებასთან მიმართებაში (Parry, 2005).

სოციალური იდენტობის თეორია შეისწავლის თვითშემეცნების როლს სოციალური ფსიქოლოგიის ჭრილში, ასევე, მასთან დაკავშირებულ კოგნიტურ პროცესებს, საერთო სოციალურ შეხედულებებსა და ჯგუფებს შორის ურთიერთკავშირს. აღნიშნული თეორიის საფუძვლები მომდინარეობს მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან, ჯერ ჯგუფებსშორისი ურთიერთობის შესწავლის ფარგლებში, ხოლო უკვე ოთხმოციანი წლებიდან ფართოვდება და მოიცავს ზოგადად ჯგუფურ პროცესებსა და სოციალური ჯგუფის არსს. დღეს თეორიის ქვეშ გაერთიანებულია ქვეთეორიებიც, რომელთა მიმართულებაც მოიცავს შემდეგი საკითხების შესწავლას - სოციალური გავლენა ჯგუფურ ნორმებზე, ჯგუფებში ლიდერობა, თვითგანვითარების მაჩვენებლებისა და მოტივაციის შემცირება ჯგუფში, კოლექტიური ქცევა და ინივიდუალიზმის ნაკლებობა, მარგინალიზაცია, პროტესტის ფაქტორები და იდენტობის დამახასიათებელი სიმბოლოები (ორგანიზაციული ფენომენი, მეტყველება, ენა და ა.შ.) (Hogg, 2016).

ჯგუფური პოლარიზაციის თეორიაში წარმოჩენილია ჯგუფური ურთიერთქმედების შედეგად წარმოშობილი ექსტრემალური დამოკიდებულებებისა და გადაწყვეტილებების შემთხვევები, ამასთან აღნიშნულია, რომ ამ ტიპის დამოკიდებულება-გადაწყვეტილებები, შესაძლოა თავდაპირველად სულაც არ იგულისხმებოდა ასეთ ჭრილში, თუმცა სწორედ ჯგუფურმა ურთიერთკავშირმა გაამძაფრა და მიიყვანა მეტად ექსტრემალურ ფორმამდე. ვინაიდან, გარკვეული

პოზიციებისა და შეხედულებების განხილვა ჯგუფურად, გარკვეულ ეტაპზე იწვევს დაძაბულობას და ექსტრემალურ ხასიათს იღებს. ამ მდგომარეობის გამომწვევი მიზეზები შესაძლოა გახდეს დისკუსიისას წამოჭრილი არგუმენტების, მტკიცებულებებისა და ინტერპრეტაციების ხარჯზე საკუთარი შეხედულებების მეტად გამყარება. ამასთან, ვითარებას ამძაფრებს სოციალური შედარების საკითხიც, როდესაც ინდივიდები თავიანთ შეხედულებებს ადარებენ ჯგუფის შეხედულებებს, შედეგად კი გადადიან ექსტრემალიზმში. აღსანიშნავია, რომ ჯგუფური პოლარიზაცია ზეგავლენას ახდენს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, ჯგუფებს შორის ურთიერთობებზე. ჯგუფური პოლარიზაციის შესწავლის მიზანია ექსტრემალური პოზიციებით გამოწვეული უარყოფითი ეფექტების შემცირება (Byrne, 1998).

პოლარიზაცია შესაძლებელია დაიყოს აფექტურ/ემოციურ პოლარიზაციად და იდეოლოგიურ/პროგრამულ პოლარიზაციად. აფექტური პოლარიზაციის ფარგლებში თეორეტიკოსები ორიენტირებულნი არიან საზოგადოებების დამოკიდებულება-შეხედულებების პოლარიზაციაზე ემოციების პროცესების გავლენა განსაზღვრონ. ასევე შეისწავლონ ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს პოლიტიკურ-სოციალური შეხედულებების გაძლიერებასა და დაყოფას. პოლარიზაციის ემოციური ასპექტების შესწავლისთვის გამოიყენება აფექტური ინტელექტის მოდელი (Marcus, Neuman & MacKuen, 2000), რომლის მიხედვითაც ნავარაუდებია, რომ პოლიტიკური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში დიდ გავლენას ახდენს სწორედ ემოციური ფაქტორი. ამ მოდელის მიხედვით, ინდივიდები ემოციების გავლენით ახდენენ პოლიტიკურ პრეფერენციებსა და მიკუთვნებულობის არჩევანს. პოლიტიკურ შეხედულებებზე ემოციური კავშირით აძლიერებენ დამოკიდებულებებს და იწვევენ პოლარიზაციას (Marcus, Neuman & MacKuen, 2000). აფექტური პოლარიზაციის ჩარჩოებში შესაძლოა განვიხილოთ ნეგატიური პარტიულობის ფენომენიც, რომელიც გამოწვეულია ინდივიდების მიერ პოლიტიკური იდენტობის შერჩევა ოპოზიციის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებებიდან გამომდინარე და არა იმ ფაქტორიდან, რომ ის კონკრეტულ ჯგუფს აკუთვნებს თავს. მაგალითისთვის, შესაძლოა ოპოზიციური პარტიების მიმართ უნდობლობიდან გამომდინარე, ინდივიდები გადავიდნენ რომელიმე საპირისპირო ჯგუფში რომ უფრო მკაფიოდ გამოხატონ ოპოზიციის მიმართ

ზიზღი, უარყოფითი დამოკიდებულება. აქედან გამომდინარე, აღსანიშნავია რომ პოლარიზაცია შეიძლება განაპირობოს ისეთმა ემოციურმა მდგომარეობებმაც როგორიცაა ზიზღი, ბრაზი, შიში სხვა ჯგუფების მიმართ (Iyengar & Westwood, 2014).

იდეოლოგიური პოლარიზაციის ასპექტში მკვლევრები შეისწავლიან პოლიტიკური შეხედულებების, ღირებულებებისა თუ პრეფერენციების განმსაზღვრელ ფაქტორებსა და პროცესებს, რომლებიც ახდენენ იდეოლოგიურ განხეთქილებას. იდეოლოგიურ პოლარიზაციას განაპირობებს სოციალური იდენტობა, მორალური ფაქტორები, მიკერძოება, ელიტარული დიფერენციაცია, მედიის მიერ გატარებული პროცესები. (Baldassarri & Gelman, 2008).

შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ პოლარიზაცია არის სხვადასხვა ფაქტორით გამოწვეული დაპირისპირება საზოგადოებაში, რომელიც შესაძლოა გადაიზარდოს უკიდურეს რადიკალიზაციაში. ქვეყნებში, სადაც პოლარიზაცია მაღალია, რთულდება დემოკრატიული პროცესების დარეგულირება და შესაბამისად, ხელი ეშლება ეკონომიკური განვითარების საკითხსაც, რაც თავის მხრივ მრავალ პრობლემას იწვევს. სწორედ ამიტომ, მკვლევრები მსოფლიოს მასშტაბით ატარებენ პოლარიზაციის ხელშემწყობი ფაქტორების იდენტიფიცირებისთვის საჭირო კვლევებს, ცდილობენ გარკვეული პროგნოზი გააკეთონ და მაღალი რისკების შემთხვევაში შეიმუშაონ პრევენციული ღონისძიებებისთვის საჭირო სტრატეგიები. წინამდებარე საბაკალავრო ნაშრომის თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, პოლიტიკური ელიტების შემთხვევაში აქცენტირებულია აფექტური პოლარიზაცია, ვინაიდან, კვლევებიდან გამომდინარე, სწორედ ემოციური პოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი გხვდება ამ მიმართულებით და მეტიც, ხშირად ის იზრდება უკიდურეს რადიკალიზაციაშიც.

1.2. ლიტერატურის მიმოხილვა

წინამდებარე საბაკალავრო ნაშრომის ძირითადი თეორიული ნაწილი მეორეული წყაროების ანალიზის შედეგად შემუშავდა. წარმოდგენილი საკვლევი საკითხის შესასწავლად მნიშვნელოვანია ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა და მიმოხილვა. აღსანიშნავია, რომ საკვლევ კითხვასთან დაკავშირებით არსებული აკადემიური ლიტერატურის ძიების შედეგად გამოიკვეთა საქართველოს კონტექსტზე მორგებული ფუნდამენტური ნაშრომების სიმცირისა და მოძიების პრობლემა,

შესაბამისად, ამ კუთხით, მიმოხილვას დაემატა მკვლევარების ინტერვიუებიდან მოპოვებული არგუმენტირებულად დასაბუთებული მოსაზრებები, რასაც თან დაერთო ავტორის შეხედულებებიც.

სამეცნიერო ლიტერატურა მოძიებულია სამეცნიერო ელექტრონული ბაზების მეშვეობით, როგორებიცაა Web of Sciences, ასევე Google Scolar-ის საძიებო სისტემა, შემდეგი საკვანძო სიტყვების გამოყენებით: პოლარიზაცია, რადიკალიზაცია, პოლიტიკური ელიტები, აფექტური პოლარიზაცია, პოლარიზაცია ახალგაზრდებში, პოლარიზაცია საქართველოში, პოლარიზაციის თეორიები, პოლარიზაციის ფაქტორები.

ვინაიდან ნაშრომის თემაში ფიგურირებს პოლიტიკური ელიტების, რადიკალიზაციისა და პოლარიზაციის საკითხები, მათთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლა და მიმოხილვა კვლევის მიმართულების სწორად წარმართვის შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოში პოლიტიკურ რადიკალიზაციაზე წერს ბიძინა ლებანიძე ნაშრომში: „პარტიული პოლიტიკის რადიკალიზაცია საქართველოში: გრძელვადიანი სტაბილურობის ძიებაში“ (ლებანიძე, 2021), რომელიც აღნიშნავს, რომ ქართული პოლიტიკური რადიკალიზაცია ნეგატიურად მოქმედებს დემოკრატიულ პროცესებზე, სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობაზე, რაც გამოწვეულია პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელთა შორის პოლარიზაციით, ფიქსირდება ამომრჩეველთა უმოქმედობა ან სრულიად გათიშვა საარჩევნო პროცესიდან, ვინაიდან, საზოგადოების ნაწილი უნდობლობითაა განწყობილი სასამართლო ინსტიტუტებისა და საარჩევნო კომისიის მიმართ. აღნიშნული ვითარება ხელს უწყობს პოლიტიკურ კრიზისს ქვეყანაში და ქმნის ნეგატიურ პოლიტიკურ ფონს, რისი გამოსწორებაც უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყანაში დემოკრატიული პროცესის დაჩქარებისთვისა და რადიკალიზაციის პრევენციისთვის (ლებანიძე, 2021). აღსანიშნავია, რომ ნაშრომში აქცენტირებულნი არ არიან ახალგაზრდები, რაც ჩვენი კვლევის მნიშვნელოვანი თემაა, ამიტომაც ეს ფაქტორი შეიძლება ჩაითვალოს სიცარიელედ.

თ. ზურაბიშვილის ნაშრომში (ზურაბაშვილი, 2019) შესწავლილია პოლარიზაციის ფენომენი საქართველოს მაგალითზე. ავტორს გაანალიზებული აქვს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ირგვლივ დატრიალებული მოვლენები,

რომლებიც ავტორის აღნიშვნით, პოლარიზაციის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა, ვინაიდან, წინასაარჩევნო კამპანიებში და შემდგომაც, იკვეთებოდა საზოგადოებრივი აზრის რადიკალიზაციის შემთხვევები, რასაც თან სდევდა სოციალური მედიის მხრიდან წამოსული პოლარიზებული კამპანიები, პოლარიზებული ჯგუფების ვერბალური დაპირისპირება. ავტორი ნაშრომში განიხილავს საპრეზიდენტო არჩევნების ორი ძირითადი კანდიდატის კამპანიებს და ანალიზის შედეგად ასკვნის, რომ 2018 წლის არჩევნები პოლარიზაციის მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩეოდა, რასაც თავის მხრივ ხელს უწყობდა სოციალური მედიაც. ავტორის ვარაუდით, მსგავსი სურათი იძლეოდა 2020 წლის არჩევნებში პოლარიზაციის მკვეთრი მატების პროგნოზირების საშუალებას და აქედან გამომდინარე, დემოკრატიის ასპექტში საფრთხეების შექმნას (ზურაბაშვილი, 2019). აღნიშნულ ნაშრომში აქცენტირებულია პოლიტიკური ელიტების პოლარიზაცია და 2018 წლის არჩევნების პერიოდი, შესაბამისად არ განიხილავს პოლარიზაციის საკითხს ფართო ჭრილში.

საბაკალავრო ნაშრომის თემის ფარგლებში საინტერესოა, ასევე, გივი სილაგაძისა და ნინო გოზალიშვილის სტატია: „უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზაცია, როგორც დემოკრატიზაციის პროცესის წინაშე არსებული საფრთხე: საქართველოს მაგალითი“ (სილაგაძე & გოზალიშვილი, 2019), რომელშიც ხაზგასმულია დემოკრატიზაციის გზაზე მყოფი სახელმწიფოებისთვის რეგრესზე უკიდურესი პოლარიზაციის ფაქტორის გავლენა და გაანალიზებულია საქართველოში პოლიტიკური პოლარიზაციის გამომწვევი ფაქტორები, უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზაციისა და დემოკრატიზაციის ურთიერთკავშირი. სტატიის ავტორთა მიხედვით, უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზაცია არის პოლიტიკის მორალიზაციის წინაპირობა, რასაც მოსდევს დეჰუმანიზაცია-დემონიზაციით გაჟღენთილი პოლიტიკური რიტორიკა, შედეგად დემოკრატიზაციის პროცესის რეგრესი. ავტორებს საკითხის სიღრმისეული ანალიზისთვის, შესწავლილი აქვთ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს გამოვლენილი პოლიტიკური პოლარიზაციის მაგალითები, რომლებიც საშუალებას იძლევა უფრო მკაფიოდ წარმოჩნდეს ურთიერთკავშირი პოლარიზაცია-დემოკრატიზაციას შორის და შესაძლო შედეგები (სილაგაძე & გოზალიშვილი, 2019). ნაშრომი ღირებულ ცოდნას იძლევა პოლარიზაციისა და დამოკრატიზაციის

პროცესების ურთიერთკავშირზე, თუმცა მსგავსად ზურაბაშვილისა (ზურაბაშვილი, 2019), სტატია პოლარიზაციას ვიწრო ჭრილში განიხილავს.

საქართველოში პოლარიზაციის საკითხთან მიმართებაში ყოვლისმომცველი კვლევა - „დაყოფილი საქართველო: პოლარიზაციის მძევალი“ (გეგეშიძე & ვაალი, 2021) აქვთ წარმოდგენილი არჩილ გეგეშიძესა და თომას დე ვაალის. ავტორთა მიზანი იყო საქართველოში პოლარიზაციისთვის დამახასიათებელი თვისებებისა და კავშირების იდენტიფიცირება კულტურულ-პოლიტიკურ დაპირისპირებებში. ნაშრომში განხილულია ქართული პოლიტიკის ისტორიულ-კულტურული საფუძვლები, დამოუკიდებლობის შემდგომ გამოწვეული პოლარიზაციის მაგალითები და ბოლოს, თანამედროვე ტენდენციები ქართულ პოლარიზაციაში (გეგეშიძე & ვაალი, 2019). ავტორთა დასკვნით, საქართველოში პოლიტიკური პოლარიზაცია უფრო და უფრო მწვავე ფორმებს იღებს, ქვეყანაში დაპირისპირების საგანია როგორც პოლიტიკური იდეოლოგიების, ასევე კულტურული შეხედულებების სხვაობები, ევროკავშირის თემასთან არსებული განსხვავებული ხედვები, რელიგიური შეხედულებები, გენდერული ნიშნით დაყოფა, მძიმე ვითარებაა LGBTQ თემების ირგვლივ. აღნიშნული ფაქტორები აძლიერებს დემოკრატიზაციის პროცესების დაჩქარების აუცილებლობას, რამაც შესაძლოა გამოასწოროს საქართველოში არსებული რადიკალური პოლარიზაციის სურათი, ვინაიდან ქვეყნის ეკომომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანია შემცირდეს პოლარიზაციის მაჩვენებლები, რაც ევროკავშირის დირექტივებშიცაა რეკომენდირებული (გეგეშიძე & ვაალი, 2019). აღნიშნულ ნაშრომში ვრცლად არის განხილული პოლარიზაციის ჩვენთვის საინტერესო ასპექტები.

ავთანდილ ტუკვაძისა და ავტორთა კოლექტივის ნაშრომში - “სოციოლოგია და განათლება პოსტ-საბჭოთა საქართველოს პოლიტიკურ ელიტაში” (Tukvadze et al., 2021) განსხვავებით სხვა ზემოაღნიშნული ნაშრომებისგან, გაანალიზებულია პოსტ-საბჭოთა პერიოდის საქართველოში მმართველი პოლიტიკური კლასების ელიტით ჩანაცვლების მიზეზ-შემედეგობრივი კავშირი. კვლევის მიზანია იმ პერიოდის საქართველოში პოლიტიკური ელიტების ჩამოყალიბების პროცესის წარმოჩენა და განმაპირობებელი ფაქტორების იდენტიფიცირება თანმიმდევრულად. ავტორთა აღნიშვნით, პოლიტიკური ელიტების ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა

განათლების ფაქტორმა და სწორედ ამ ნიშნით მიეცა პოლიტიკურ ელიტებს ფორმირება-მიმოქცევის პროცესის მიმართულება. ამასთან, ავტორების დაკვირვებით საბჭოთა პერიოდში ადგილობრივი ელიტების ფორმირების აუცილებელი ატრიბუტი იყო ადგილობრივი განათლება, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი ვითარება შეიცვალა, და პრიორიტეტად იქცა - საზღვარგარეთ (დასავლეთი, ევროპა, ამერიკა) მიღებული განათლება, რაც მეტად აქტუალური გახდა ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. კვლევის ავტორებს ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ საქართველოში არსებული საგანმანათლებლო ცენტრები (ე.წ. "ელიტარული სკოლები"), რომელთა უმრავლესობაშიც ახალი თაობა დადის, თუმცა აღნიშნული ცენტრების მინიმალური რაოდენობა (3-4%) იღებს მოსწავლეებს გარკვეული მახასიათებლების მიხედვით. ავტორები შენიშნავენ, რომ სწორედ ეს საგანმანათლებლო სივრცეები უყრიან საფუძველს პოლიტიკურ-ფინანსური ჯგუფების ერთგვარ პოლარიზაციას ჯერ კიდევ პატარა ასაკის წარმომადგენლებში, რის შემდეგაც იწყება აღნიშნული სასწავლებლების კურსდამთავრებულების, უმაღლესი განათლების მიღების მიზნით, მიგრაციის პროცესი უცხოეთში, ამ ეტაპის გავლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული ახალგაზრდები მარტივად ახერხებენ ელიტურ ჯგუფებზე მორგებას (Tukvadze et al., 2021). აღნიშნული ნაშრომი განსხვავებულ ხედვას ავითარებს საკითხთან კავშირში.

აქსელორდის, დეიმიუდისა და ფორესტის ავტორობით კვლევაში - „პოლიტიკური დამოკიდებულებების ექსტრემალური პოლარიზაციის პრევენცია" [3] (Axelord, Daymude & Forrest, 2021) აღნიშნულია რომ ექსტრემალური პოლარიზაცია არის დემოკრატიზაციის პროცესის რეგრესის განმაპირობებელი, რაც შეეხება იდეოლოგიურ პოლარიზაციას, ის უფრო მეტად ახასიათებთ ელიტებს და არა ფართო საზოგადოებას (Axelord, Daymude & Forrest, 2021). კვლევაში ავტორები შეისწავლიან პოლარიზაციის რადიკალიზაციას (რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს სავალალო შედეგები ქვეყანაში) და მისი პრევენციის იარაღებს, საკითხების შესწავლის მიზნით ავტორებმა გააანალიზეს ორი აქტორის ურთიერთქმედების მაგალითები პოლარიზაციის კუთხით. ნაშრომში გამოკვლეულია ტოლერანტობის პოპულარიზაციის გავლენა პოლარიზაციაზე და შემოთავაზებულია რადიკალური პოლარიზაციის

[3] ინგ. "Preventing Extreme Polarization of Political Attitudes" (ავტ. შენიშვნა)

პრევენციის სტრატეგიები (Axelord, Daymude & Forrest, 2021). ნაშრომი პოლარიზაციის ზოგად ასპექტებს განიხილავს და ნაკლებადაა ინფორმაცია ახალგაზრდების ფაქტორსა და მათში არსებულ საგნობრივ დისკურსზე.

ზემოხსენებული ლიტერატურა არის მცირე ჩამონათვალი წარმოდგენილი საკვლევი თემის ირგვლივ მნიშვნელოვანი საკითხების შესასწავლად, თუმცა განხილული ლიტერატურა გახდა წინაპირობა გარკვეული მიმართულებით განსაზღვრულიყო საბაკალავრო ნაშრომის კვლევა სიცარიელების შევსების თვალსაზრისით და შემუშავებულიყო ნაშრომის სტრუქტურა.

1.3. პოლარიზაცია აღმოსავლეთ ევროპასა და ბალტიისპირეთში

ბოლო წლებში აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებშიც ცალსახაა პოლარიზაციის მზარდი ტენდენცია. იქედან გამომდინარე, რომ ქვეყნებში შეინიშნება რთული ეთნიკური, რელიგიური და კულტურული დაყოფის ისტორია, ხშირია ამ მახასიათებლების მიხედვით პოლარიზაციის შემთხვევები. ისტორიულმა მემკვიდრეობამ, მათ შორის კონფლიქტებმა, სასაზღვრო დავებმა და უმცირესობათა ჯგუფების არსებობამ ხელი შეუწყო ჯგუფებს შორის დაძაბულობის შედეგად გამოწვეულ პოლარიზაციას (Schmitt & Freire, 2012).

ძველი ისტორიული საფუძვლების პარალელურად, აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებმა ბოლო ათწლეულების მანძილზე განიცადეს დიდი პოლიტიკური ძვრები და იდეოლოგიური ბრძოლები, რაც უმთავრესად გამოიწვია კომუნიზმის დაშლამ. ამის ფონზე, აქ ხშირია დაპირისპირება უფრო კონსერვატიულ და ნაციონალისტურ ელემენტებს, ლიბერალური დემოკრატიული ღირებულებებისა და ევროპული ინტეგრაციის მომხრეებს, შორის. მსგავსი იდეოლოგიური განსხვავებები ხელს უწყობს პოლიტიკური ნიშნით პოლარიზაციის წარმოშობას (Savage, 2013).

აღმოსავლეთ ევროპაში შესამჩნევია ასევე სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლებით გამოწვეული დაპირისპირება, რაც უკავშირდება ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საკითხს, რამაც თავის მხრივ გამოიწვია გარკვეული სახის ეკონომიკური უთანასწორობა და გამოწვევები. ეკონომიკური რეფორმების გამკაცრების აუცილებლობამ, ფინასნურმა უთანასწორობამ

და კორუფციის მაღალმა მაჩვენებლებმა განაპირობა სოციალ-პოლიტიკური პოლარიზაციის მაჩვენებლის დონის ზრდა (Savage, 2013).

პოლარიზაციის ზრდას აღმოსავლეთ ევროპასა და ბალტიისპირეთში, ისევე როგორც მსოფლიოში, ხელს უწყობს მედია ლანდშაფტის ფაქტორიც. მედიას გადამწყვეტი როლი აქვს საზოგადობრივი აზრის ჩამოყალიბებაში, რასაც იყენებენ სხვადასხვა პოლიტიზირებული მედია-საშუალებები, ამაღლებენ პოლარიზაციის დონეს და ამცირებენ დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ ნდობას (Schmitt & Freire, 2012). ვინაიდან, საბაკალავრო ნაშრომი ორიენტირებულია ქართულ რეალობაში პოლარიზების საკითხის შესწავლაზე, საინტერესოა საქართველოსთან პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობით მსგავსი ქვეყნების პოლარიზაციის მოკლედ წარმოჩენა - ამ შემთხვევაში, აღმოსავლეთ ევროპის ისეთი ქვეყნების, როგორიცაა სლოვაკეთი და უკრაინა და ბალტიისპირეთში შემავალი ესტონეთი და ლიეტუვა. რაც შეეხება დასავლეთ ევროპას, აქ ქართული პოლიტიკური რეალობისგან განსხვავებით უფრო მეტად იდეოლოგიური პოლარიზაცია შეინიშნება და აღსანიშნავია, რომ მიუხედავად არსებული იდეოლოგიური განსხვავებებისა, პოლიტიკური პარტიები ახერხებენ ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვას და კონსტრუქციულ დიალოგში ჩართვას.

როგორც უკვე აღინიშნა, ბოლო პერიოდში მრავლად გვხვდება უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზაციის მაგალითი, რაც რიგ შემთხვევებში ხდება სიძულვილისა და დანაშაულის ესკალაციის, ძალადობისა და პოლიტიკური დესტაბილიზაციის წინაპირობა. საქართველოსთან შედარებით პერსპექტივაში საინტერესოა სლოვაკეთის შემთხვევის მიმოხილვა, სადაც შიდაპოლიტიკური კრიზისის, ელიტების რადიკალიზაციისა და პარლამენტის დატოვების, მედია-თავისუფლების შეზღუდვისა და დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობის გაუარესების ფონზე, სლოვაკების უმრავლესობა იყო ერთსულოვანი და მოსახალეობა გამოხატავდა მტკიცე მხარდაჭერას ევროკავშირში მათი ქვეყნის გაწევრიანების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებაში იზრდებოდა ავტორიტარული ტენდენციები, მმართველი ელიტა პირადი დაპირისპირების გამო უარს აცხადებდა დიალოგის დაწყებასა და ინტერესთა გაერთიანებებზე, სლოვაკეთმა ნელ-ნელა მიაღწია კონსოლიდაციის ეტაპს (Szomolányi, 2004). 1998-დან 2002 წლამდე ქვეყანაში ცხადი გახდა ცვლილებები, რამაც

დემოკრატიული უწყვეტობის სცენარი უფრო მეტად რეალისტური გახადა, ვიდრე პოსტკომუნისტურ ავტორიტარიზმზე დაბრუნება. დასტაბილურდა პოლიტიკური სისტემა, ქვეყნის საერთაშორისო პოზიცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და არსებითი რეფორმები დაიწყო სექტორებში. 2002 წლის არჩევნების შედეგებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დემოკრატიის კონსოლიდაციას, რადგან შეიქმნა ხელსაყრელი პირობები პოზიტიური ცვლილებების გასაგრძელებლად (Szomolányi, 2004). 2004 წელს სლოვაკეთი ევროკავშირის წევრი ქვეყანა გახდა, შესაბამისად, გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ქვეყანამ მოაგვარა რაღაც უფრო ფუნდამენტური, ვიდრე უბრალო ცვლილება მთავრობაში.

უკრაინაში გამოკვეთილად მაღალი პოლარიზაციის მაჩვენებლები გვხვდება, რაც მეტწილად ემოციურ ფაქტორებს (ემოციური პოლარიზაცია) უკავშირდება, ნათლად ჩანს ორად გაყოფილი საზოგადოება (Romensky et al., 2018). საერთო პოლიტიკური სურათი კი დამოკიდებულია პოლიტიკურ პარტიებსა და ლიდერებზე, რომელთა აზრიც იყოფა (ერთნი აღმოსავლეთის მომხრენი არიან, ხოლო მეორენი - დასავლეთის, ევროპის). 2004 წლის ნარინჯისფერი რევოლუციის შედეგად ქვეყნის სადავეები ხელში აიღეს პროდასავლურმა პოლიტიკოსებმა, თუმცა 2010 წლის არჩევნების შემდეგ ვითარება შეიცვალა, პრეზიდენტად აირჩიეს ვიქტორ იანუკოვიჩი, რომელიც პროაღმოსავლური ღირებულებების პოლიტიკოსია. მას შემდეგ, რაც 2013 წელს იანუკოვიჩმა ვერ მოახერხა ევროკავშირის პოლიტიკური ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მიღება, დაიწყო მასობრივი გამოსვლები მთელი ქვეყნის მასშტაბით, მშვიდობიანი პროტესტი მალევე გადაიქცა ძალადობრივი ქმედებების მატარებელ აქციებად, ვინაიდან, მთავრობამ შეიმუშავა სპეციფიკური კანონები, რომლის მიხედვითაც შეძლებდნენ საპროტესტო აქციების ჩახშობას (იანვარი, 2014 წელი), თუმცა საპროტესტო აქციის მონაწილეებმა მიზანს მაინც მიაღწიეს და იანუკოვიჩი, პარლამენტის გადაწყვეტილებით, გადადგა თანამდებობიდან. პარალელურად, აღმოსავლეთ და სამხრეთ უკრაინაში პრორუსული მოძრაობები გააქტიურდა და სამხედრო კონფლიქტს ჩაეყარა საფუძველი. რუსეთის ფედერაციამ გაატარა რეფერენდუმი, რომლის შემდეგაც მოახდინეს ყირიმის ანექსია. აღსანიშნავია, რომ რეფერენდუმი საერთაშორისო თვალსაზრისით არალეგიტიმურად და უკანონოდაა

მიჩნეული. ამ ფაქტის შემდეგ, დონეცკსა და ლუგანსკში ჩამოყალიბდა თვითგამოცხადებული სახელმწიფოები, რომლებშიც განთავსდა 3 მილიონამდე იძულებით გადაადგილებული პირი და ლტოლვილი. შედეგად, მძაფრდებოდა უკრაინის პოლარიზებაც და იღებდა მეტად ექსტრემალურ სახეს, რამაც გაამწვავა სიტუაცია. კვლევები (Romensky et al., 2018) ცხადყოფს, რომ უკრაინაში პოლარიზაციაზე გავლენას ახდენს ემოციური ინტენსივობა, თუმცა, რომენსკი და სხვა ავტორები (Romensky et al., 2018) ასკვნიან, რომ ემოციური ინტენსივობა დამატებითი მექანიზმია პოლარიზაციის გამძაფრების უზრუნველსაყოფად, ავტორები წარმოაჩენენ სეპარატისტული ტენდენციებისა და პოლარიზაციის ურთიერთკავშირს, რაც გამოჩნდა უკრაინაში განვითარებული ზემოხსენებული მოვლენების მაგალითზე. თუმცა, თუ სხვა ქვეყნების შემთხვევაში სეპარატიზმი უფრო მკაფიოდაა გამოვლენილი, უკრაინაში სეპარატიზმის საფუძველი მცირე კულტურული განსხვავებებიდან მომდინარეობს და ამძაფრებს ხელოვნური გარე-ფაქტორები. ავტორები (Romensky et al., 2018) აღნიშნავენ, რომ ასეთი ჩარევები საშიშროებას წარმოადგენს მოსახლეობაში აჟიოტაჟის შექმნის კუთხით, გარე ფაქტორების თანამედროვე მაგალითებია საინფორმაციო არხები, მედია, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მოსახლეობის ემოციებზე და პოლარიზებულ შეხედულებებს უფრო ამწვავებენ (Romensky et al., 2018).

ბურნეიკასა და სხვა ავტორების კვლევაში (Burneika et al., 2022), აღნიშნულია რომ ესტონეთში სოციალურ-ეკონომიკური პოლარიზაცია გამოვლენილია ტალინში ადამიანური და ეკონომიკური კონცენტრაციით, გარემიგრაციები იწვევს ასევე პოლარიზაციის ხელშემწყობ პირობებს. მოსახლეობის შემცირება გამოიხატება დემოგრაფიული სიბერითა და ხანდაზმულების პენსიებზე დამოკიდებულებით. აღნიშული ფაქტორებიდან გამომდინარე, ესტონეთში პოლარიზებულია უბრანული არეალი და დანარჩენი ნაწილი, რაც გამოიწვია რეგიონების მიხედვით არათანაბარი დასაქმების შესაძლებლობებმა. ესტონეთის ორი დიდი ქალაქის (ტალინისა და ტარტუს) ეკონომიკა ეყრდნობა მესამე სექტორის ზრდასა და ცოდნის ინტენსიურ ეკონომიკას, დანარჩენი რეგიონები დამოკიდებულია მძიმე მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაზე, რაც განაპირობა პოსტსოციალისტური რეცესიის შედეგად უმუშევრობის მაღალმა მაჩვენებელმა. გარკვეულ პერიოდამდე ესტონეთი მჭირდო კავშირში იყო

პოსტ-საბჭოთა რუსულ ბაზართან, თუმცა ევროკავშირში გაწევრიანების შემდგომ შეიზღუდა. ადმინისტრაციულ დონეზე მიმდინარე პროცესებმა საჯარო სერვისების მიწოდების გადასახადების შემცირება გამოიწვია (მობილურობაზე, განათლებაზე, ჯანმრთელობაზე და სხვ.). თუმცა აქაც პოლარიზება არის გამოკვეთილი, ვინაიდან სოფლის მაცხოვრებელთა დიდი ნაწილისთვის მაინც ხელმიუწვდომელია ჯანდაცვის სერვისები, მწვანე სივრცეები. (Burneika et al., 2022).

ლიეტუვაში რეგიონალურ განვითარებას თან ახლავს სამუშაო ადგილების ზრდა და კონცენტრირება სამ ძირითად (კაუნასი, კლაიპედა, ვილნიუსი) რეგიონში, შესაბამისად, სივრცითი განლაგება ძალიან პოლარიზებულია და შესაბამისა ნაწილდება განვითარების დონეც. ლიეტუვაში სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის მკვეთრი ზრდა ფიქსირდება (მზარდი ხელფასები) მხოლოდ ამ სამ ძირითად რეგიონში. ადგილობრივი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების ყურადღების ცენტრშია მოქცეული არათანაბარი რეგიონული განვითარების საკითხი. მეტ-წილად ყურადღება მახვილდება დემოგრაფიული შემცირებისა და ემიგრაციის საკითებზე, რაც ასევე აისახება მედია საშუალებებშიც, რომლებიც უარყოფით ინფორმაციას აშუქებენ აღნიშნულ ფაქტორებზე (Burneika et al., 2022).

უკრაინამ, ესტონეთმა, ლიეტუვამ და საქართველომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები განიცადეს. ამ ქვეყნების პოლარიზაცია გარკვეულწილად ჰგავს ერთმანეთს, თუმცა თითოეულ მათგან მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური განსხვავებები და პოლარიზაციის დინამიკა აქვს. ოთხივე ქვეყანამ განიცადა პოლიტიკური არასტაბილურობისა და ავტორიტარული რეჟიმიდან დემოკრატიაზე გადასვლის პერიოდი, საბჭოთა ბატონობის მემკვიდრეობასთან და ერის ახლებური ფორმირების გამოწვევებთან დაკავშირებით ძირეული ცვლილებები. ამასთან, აღნიშნული ქვეყნების ლოკაციებში მნიშვნელოვნად პოლარიზებულია პრორუსული და პროდასავლური ორიენტაციები, რაც გავლენას ახდენს პოლიტიკურ პოლარიზაციაზეც, საზოგადოების ნაწილი იზიარებს დასავლური ღირებულებებისა და ევროინტეგრაციის მნიშვნელობას, ნაწილისთვის კი უფრო პრიორიტეტულია მეზობელ რუსეთთან კულტურულ-ისტორიული კავშირების

შენარჩუნება. ოთხივე ქვეყანა გამოირჩევა მულტიეთნიკურობით, რაც ასევე პოლიტიკური პოლარიზაციის განმაპირობებელი ფაქტორია.

უკრაინის, ესტონეთის, ლიტვისა და საქართველოს გეოპოლიტიკური კონტექსტი არის მათ შორის არსებული ერთ-ერთი განსხვავება, ოთხივე ქვეყანას განსხვავებული ურთიერთობა აქვს მეზობელ ქვეყნებთან. ამასთანავე, საქართველოსგან განსხვავებით, ესტონეთი და ლიეტუვა არიან ევროკავშირისა და ნატოს წევრები. დასავლურ ინსტიტუტებთან ინტეგრაციის ეს განსხვავებული დონე, თავის მხრივ ზეგავლენას ახდენს პოლარიზაციის დინამიკაზეც. ამ ქვეყნებში სხვადასხვანაირად განვითარდა ეკონომიკურობისა და სტაბილურობის საკითხები. მაგალითისთვის, თუ ესტონეთისთვის დამოუკიდებლობის გამოცხადება ეკონომიკური სტაბილურობისა და განვითარების მომტანი იყო, უკრაინა ამ კუთხით, პირიქით, უფრო მეტი გამოწვევებისა და კორუფციის წინაშე დადგა.

საბაკალავრო კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს რესპონდენტი (GIP-ის მკვლევარი) მიიჩნევს, რომ საქართველოში საკითხებზე ორიენტირებული პოლიტიკის გარემოს გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნების მაგალითის შესწავლაც, რაც შესაძლებლობას მოგვცემს უფრო ფართო ჭრილში დავინახოთ გამოწვევები და რაციონალური, ოპტიმალური გზები, მისი აღნიშვნით, საქართველოსთვის მაგალითი შეიძლება იყოს ესტონეთი, რომელიც ჩვენი ქვეყნის მსგავსად, სიდიდით არ გამოირჩევა, თუმცა შეძლო სწორი პოლიტიკური სვლების განხორციელება, დღეს არის ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი და აქტიურად აგრძელებს განვითარებას.

თავი II. პოლიტიკური პოლარიზაცია საქართველოში

2.1. იდენტობის კრიზისის გავლენა პოლიტიკურ პოლარიზაციაზე

საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა როგორც მულტიკულტურული, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფით დასახლებული ქვეყანა. ისტორიულმა მოვლენებმა, ომებმა, კონფლიქტებმა, დროთა განმავლობაში წარმოშვა იდენტობის აღქმა, რასაც მოჰყვა იდენტობის კრიზისიც. საქართველოში იდენტობის კრიზისი გამძაფრდა, განსაკუთრებით, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სეპარატიზაციის შედეგად, რომლის შემდეგაც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მცხოვრები მოსახლეობის ნაწილს გაუჩნდა განსხვავებული იდენტობის აღქმა, რაც შეიძლება სხვადასხვა პოლიტიკური ელიტების პროპაგანდით გამოწვეულ შედეგებთანაც იყოს კავშირში. (Akobia, 2016). დღემდე, იდენტობის კრიზისი ქართული პოლარიზაციის გამომწვევი ერთ-ერთი აქტუალური ფაქტორია. იდენტობის პრობლემას წინ სწევდა ენისა და კულტურული იდენტობის ფაქტორებიც, რომლებიც ასევე გავლენას ახდენდნენ პოლარიზაციაზე. პოლარიზებული ჯგუფების ნაწილი აღიარებდა ქართული ენისა და კულტურის დიდ მნიშვნელობას ეროვნული იდენტობის შენარჩუნების საკითხში, ხოლო ნაწილისთვის ეროვნულობაზე ორიენტირების ნაცვლად, მნიშვნელოვანია ქვეყანაში ინკლუზიური და მრავალფეროვანი გარემო იყოს უზრუნველყოფილი (სამხარაძე, 2022).

იდენტობის კრიზისსა და ამ ნიშნით პოლარიზაციას იწვევს ასევე პროდასავლური და პრორუსული ორიენტაციები,რაც დაკავშირებულია განსხვავებული იდენტობის ნარატივებთან ან ისტორიულ გამოცდილებასთან. პროდასავლური იდეოლოგიის მომხრეთათვის მნიშვნელოვანია საქართველოს სწრაფვა ევროპისკენ, ევროპული ღირებულებებისკენ, პრორუსული იდეოლოგიის მატარებლებისთვის კი გადამწყვეტი როლი აქვს ისტორიულ და კულტურულ კავშირებს რუსეთთან და მიიჩნევენ, რომ მეზობელი ქვეყნის თანადგომა ყველაზე მნიშვნელოვანია.

საკვლევი თემის ფარგლებში, საქართველოში პოლიტიკური პოლარიზაციის განხილვისას, რესპოდენტმა, CRRC-ის მკვლევარმა, აღნიშნა, რომ იდენტობის კრიზისი მნიშვნელოვნად ახდენს გავლენას პოლარიზაციაზე. მისი თქმით, საქართველოს მოქალაქეებს სოციალური იდენტობა, თავიანთი იდენტობა აქვთ განსაზღვრული,

როგორც რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის მიმართ კუთვნილება და შესაბამისად, ეს კუთვნილება პარტიული ხაზების გასწვრივ შეიძლება ითქვას, რომ არის მკაფიო და ასევე მკაფიოა ის ანტაგონიზმი, რაც არსებობს მოწინააღმდეგე ბანაკის მიმართ. არსებული აფექტური ემოციური პოლარიზაცია ძირითადად ეყრდნობა სოციალური იდენტობის თეორიას - ჯგუფის მიკუთვნებულობა არის მნიშვნელოვანი და პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკოსები ცდილობენ ყველა საკითხი, რაც საჯარო დღის წესრიგში დგას წარმოსახონ, როგორც ერთ განზომილებაზე მდგომი.

შეჯამებისთვის, საქართველოში გამოვლენილია იდენტობის კრიზისით გამოწვეული პოლარიზაცია ელიტებში, თუმცა გამოკითხვების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ელექტორარის დიდი ნაწილი მაინც ვერ გრძნობს რომელიმე პარტიასთან იდენტობას და ამ კუთხით პოლარიზების დიდ საჭიროებასა თუ მოთხოვნილებას. ეს ფაქტი კი გვაფიქრებინებს, რომ ან ნდობის პრობლემაა ზოგადად პოლიტიკური ელიტის მიმართ საზოგადოების მხრიდან, ან პირიქით, იმდენად მოწესრიგებულია სისტემა, რომ საზოგადოება არ მიიჩნევს თავს ვალდებულად ერეოდეს რაიმე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც სამწუხაროდ, საქართველოში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, ვინაიდან, ჯერჯერობით ჩვენი ქვეყანა არის განვითარების ამ ეტაპზე და აქვს მთელი რიგი დირექტივები, რომელთა შესრულებაც განაპირობებს უკვე სამომავლო პერსპექტივასა და რადიკალიზაციის პრევენციას.

2.2. პოლარიზაცია თუ პოლიტიკის რადიკალიზაცია?

საქართველოს პოლიტიკურ ლანდშაფტზე გავლენას ახდენს როგორც პოლარიზაცია, ასევე პოლიტიკური რადიკალიზაცია. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ეს ორი ფენომენი ერთმანეთთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული, რაც ქმნის საერთო ქართულ პოლიტიკურ პოლარიზაციას (Turmanidze, 2020).

იდეოლოგიური პოლარიზაცია პოლიტიკაში მოიაზრებს სხვადასხვა ჯგუფს შორის პოლიტიკური ღირებულებებისა და შეხედულებების განსხვავებას. ამ ტიპის განსხვავებები ვლინდება მმართველობის, ეკონომიკური პოლიტიკის, კულტურული ღირებულებებისა და საგარეო ურთიერთობების შესახებ წარმოებულ დებატებში. ქართული პოლიტიკური პარტიები თუ პოლიტიკური მოძრაობები იშვიათად ამჟღავნებენ რომელიმე იდეოლოგიური ხაზის მიკუთვნებულობას, თუმცა

პოლიტიკური ლანდშაფტი ფრაგმენტიზირებულია. საქართველოში იდეოლოგიური პოლარიზაციის ხელშემწყობი ფაქტორია პრორუსული და პროდასავლური ორიენტაციები. ყოველივე ზემოხსენებულთან ერთად ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ საქართველოში არ შეინიშნება მკაფიოდ გამოხატული საკითხზე ორიენტირებული პოლარიზაცია (სამხარაძე, 2022).

პოლიტიკურ რადიკალიზაციაში მოიაზრება უკიდურესი, უკომპრომისო პოლიტიკური შეხედულებების, ღირებულებებისა თუ მეთოდების მიღება. საქართველოსთვის უცხო არ არის საზოგადოების ცალკეულ სეგმენტებში პოლიტიკური რადიკალიზაციის ნიშნები. პოლარიზებული ინდივიდების ჯგუფი პოლიტიკური აქტივობებისთვის მიმართავს სხვადასხვა ტიპის რადიკალურ ნაბიჯებს (ქუჩის საპროტესტო გამოსვლები, ძალადობრივი აქტები, რიტორიკა ექსტრემისტულად და ა.შ.). ამ ტიპის ტაქტიკამ შესაძლოა გამოიწვის პოლარიზაციის გაძლიერება და საზოგადოებაში აამაღლოს დაძაბულობა (კანდელაკი, 2022).

ქართული პოლიტიკური რადიკალიზაციის თვალსაჩინო მაგალითებია ორი ძირითადი პოლარული პარტია საქართველოში - ქართული ოცნება და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. სხვადასხვა შეფასებით, დგინდება რომ ნაციონალურ მოძრაობას ორიენტირი მიმართული აქვს პროდასავლური იდეოლოგიისკენ და მიზნად ისახავს ევროკავშირსა და ნატოსთან ინტეგრაციის პროცესების შესრულებას, ხოლო ქართულ ოცნებას აქვს შედარებით პრაგმატული და ზომიერ ტაქტიკაზე დამყარებული მიდგომა, რომელიც მიმართულია ეკონომიკური განვითარების საკითხების რეგულირებისკენ მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის დარეგულირების გზით. ამ ორ პარტიას შორის განსხვავებულმა ხედვებმა და ღირებულებებმა განაპირობა პოლარიზაციისა და პოლიტიკური რადიკალიზაციის გაძლიერება, ვინაიდან, ორივე აწარმოებს ექსტრემისტულ რიტორიკას (ლებანიძე, 2021).

პოლიტიკური პოლარიზაციისა და რადიკალიზაციის მაგალითს მიეკუთვნება საქართველოში ულტრამემარჯვენე და ულტრანაციონალისტური ჯგუფების ფორმირება, ასეთი ჯგუფები აძლიერებენ ეთნოცენტრისტულ და რადიკალურ შეხედულებებს. ისინი უმეტესად მიეკუთვნებიან ქართული კულტურის, ეროვნული იდენტობისა და ენის შენარჩუნებისთვის მებრძოლ ჯგუფებს, რომლებიც კრიტიკულად

არიან განწყობილნი უცხო გავლენების მიმართ. აქედან გამომდინარე, მათი მხრიდან, ხშირია რადიკალური, ექსტრემისტული საპროტესტო გამოსვლები, დაპირისპირებები, რითიც ძლიერდება ქართული პოლიტიკური პოლარიზაცია და იღებს რადიკალურ ფორმას (Turmanidze, 2020).

საქართველოში არ არსებობს საკითხებზე ორიენტირებული პოლარიზაცია, როგორც ევროპულ ქვეყნებშია, არამედ გვაქვს პოლიტიკის რადიკალიზაცია, აფექტური პოლარიზაცია. ელიტები დაპირისპირებულები არიან, მაგრამ არა საკითხების გარშემო იდენტობის კრიზისის ასეთი გამოხატულებები ამძაფრებენ ქვეყნის პოლიტიკურ პოლარიზაციას და ქმნიან რადიკალიზაციის საფუძვლებს (ლებანიძე, 2021).

ანალიტიკოსი ლევან კახიშვილი საკითხებზე ორიენტირებულ პოლარიზაციას, აფასებს როგორც დადებით მოვლენას დემოკრატიის განვითარებისათვის და აღნიშნავს: *„პოლარიზაცია პოლიტიკური პროცესების თანმდევია და დამახასიათებელია ზოგადად დემოკრატიული ცხოვრებისათვის, დამაზიანებელია მაშინ, როდესაც იღებს რადიკალიზებულ, ექსტრემალურ ხასიათს.“* (სიღრმისეული ინტერვიუ, 30.05.23). აღსანიშნავია, რომ საკითხებზე ორიენტირებული პოლარიზაცია ქვეყნის შიდა პოლიტიკურ სივრცეში არსებულ პლურალიზმზე მეტყველებს. მოსაზრებას ამყარებს GIP-ის ანალიტიკოსი, ნინო სამხარაძე:

> *“პოლარიზაცია ცუდი არ არის, არამედ ცუდია მისი მოტივები - საქართველოს კონტექსტში პოლიტიკური პოლარიზაცია მეტოქის დაზიანებაზეა მიმართული და არა კონკრეტული იდეის გატანაზე ორიენტირებული. მეორე მხრივ, პოლიტიკურ პროცესს აზიანებს რაიმე სასარგებლო პოლიტიკის დაიგნორება მხოლოდ იმიტომ, რომ ის კონკურენტის იდეაა. რადიკალიზაცია ემოციებზეა დაფუძნებული, ხდება კონკურენტის დემონიზება ძალაუფლების შენარჩუნების წყურვილით“* (სიღრმისეული ინტერვიუ, 06.06.23).

რესპონდენტის (ლ. კახიშვილის) თქმით, საქართველოში არსებული ემოციური პოლარიზაცია არსებითად განსხვავებულია, პოლარიზებული მხარეები, ხშირ შემთხვევაში არც უსმენენ ერთმანეთის მოსაზრებებს და ემოციური დამოკიდებულებიდან გამომდინარე რადიკალურად წინააღდეგობაში მოდიან ერთმანეთთან. როგორც რესპონდენტი შენიშნავს, აფექტური პოლარიზაციის პრობლემა

საქართველოში განსაკუთრებით გამოიკვეთა გასული საუკუნის 90-იან წლებში, რაც გამოწვეული იყო რიგი ფაქტორებით, ასეთია, თუნდაც ის ფაქტორი, რომ მანამდე საქართველოში, ევროპისგან განსხვავებით, (სადაც პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბების ორსაუკუნოვანი ისტორიაა) არ არსებობდა პოლიტიკური პარტიები და როდესაც უკვე საჭირო გახდა ამ ტიპის პოლიტიკური სისტემის შემოღება და ადაპტირება, საზოგადოებაში იმატა აფექტურმა პოლარიზაციის ნიშნებმა. ამ პერიოდში ჩამოყალიბებული პოლიტიკური პარტიები, თითქოს განზე იდგნენ და ნაკლები კავშირი ჰქონდათ საზოგადოებასთან, რაც იმის ფონზე, რომ ზოგადად პოლიტიკური პარტიები უნდა წარმოადგენდნენ საზოგადოების ქვეჯგუფებს, ამწვავებდა გაურკვევლობასა და დაპირისპირებას, ასევე, უნდობლობას პარტიების მიმართ, რაც დღემდე პრობლემას წარმოადგენს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში. პრობლემას CRRC-ის მკვლევარი ხსნის: *„საზოგადოებას როგორღაც უნდა დაანახო განსხვავება შენსა და სხვა პარტიას შორის, როდესაც საგნობრივ საკითხზე დებატი ნაკლებია, სხვა შესათავაზებელი პარტიებს არაფერი რჩებათ, გარდა ემოციების დონეზე პიროვნული დაპირისპირებებისა“.* (სიღრმისეული ინტერვიუ, 25.06.23).

ბოლო ათწლეულების მანძილზე საქართველოში გამოვლენილია პოლიტიკური კრიზისის ტენდენცია, რაც თავის მხრივ ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესს აფერხებს. აღნიშნული მდგომარეობა აისახება პარტიული ანტაგონიზმისა და პოლიტიკური ექსტრემიზმის ზრდაში, რასაც მოჰყვება ეკონომიკის პრობლემები და ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის დესტაბილიზაცია. ქართული პოლიტიკური რადიკალიზაციის მთავარი აქტორები არიან ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა საზოგადოების პოლარიზაციის ზრდაზე. ყველაზე ნათლად პოლიტიკური რადიკალიზაცია, საქართველოში, პარტიების მხრიდან იკვეთება საარჩევნო კამპანიების ფარგლებში, ვინაიდან პოლიტიკური ელიტების მთავარ მიზანს, სწორედ არჩევნებში გამარჯვება, და არა დემოკრატიის დამყარება, წარმოადგენს. (Kakachia, n.d.). საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი, ბაკურ კვაშილავა საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს: *“ვინც არ არის ხელისუფლებაში, მას არ მოსწონს არაფერი, რასაც ხელისუფლება აკეთებს, ვინც ხელისუფლებაშია ის ამართლებს მის ყველანაირ გადაწყვეტილებას. ეს*

არის დღევანდელი სამწუხარო რეალობა და ძალიან ცოტაა შინაარსიანი დისკუსიის ადგილი". (სიღრმისეული ინტერვიუ, 01.06.23) აღნიშნული ვითარება, ყურადღების მიღმა არ რჩებათ საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებს, რომლებიც გარკვეულ დირექტივებს აძლევენ ქართული პოლიტიკის წარმომადგენლებს მდგომარეობის გამოსწორების მიზნით. შესაბამისად, საქართველოში არსებულმა პოლიტიკურმა აქტორებმა ძირეულად უნდა შეცვალონ თავიანთი კულტურულ-პოლიტიკური დამოკიდებულებები და ორიენტირებულნი უნდა იყვნენ ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესის ხელშეწყობაზე, რისი წინაპირობაც არის მშვიდობის, სტაბილურობისა და სამოქალაქო ერთიანობის უზრუნველყოფა. პოლარიზაციისა და რადიკალიზაციის მზარდი ტენდენცია კი ამ ფაქტორებს გამორიცხავს, რაც ქვეყნის კეთილდღეობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს და, შესაძლოა, სავალალო მდგომარეობამდეც მიიყვანოს (Kakachia, n.d.).

თავი III. სტუდენტების მასობრივი პოლარიზაცია საქართველოში

3.1. პოლიტიკური ელიტების როლი სტუდენტების პოლარიზაციაში

საქართველოში პოლიტიკური ელიტები ცდილობენ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ ახალგაზრდების პოლარიზაციაზე, ვინაიდან ისინი აყალიბებენ ისეთ

პოლიტიკურ დისკურსს, რომელიც მიმართულია საზოგადოებაზე და, მათ შორის, ახალგაზრდებზეც, ცდილობენ მოახდინოს ზეგავლენა გარკვეული პოლარიზებული აზრის ჩამოყალიბებაზე. პოლიტიკური ელიტების როლთან დაკავშირებით პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსი ნ. სამხარაძე აღნიშნავს: *„ელიტების როლი პროაქტიულია, მათ არათუ უბრალოდ როლი აქვთ, არამედ ისინი აკეთებენ პოლარიზაციას, თან არა შემთხვევით, არამედ გამიზნულად, მათი სტრატეგიაა.“* (სიღრმისეული ინტერვიუ, 06.06.23) ქართული პოლიტიკური ელიტისთვის დამახასიათებელია რიტორიკული გამოსვლები და საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტზე (თავისთავად, ახალგაზრდებზეც) გათვლილი მესიჯების გაკეთება. ამისათვის, ისინი მიმართავენ გამყოფი ენის, ტერმინოლოგიების გამოყენების გზას, აკეთებენ აფექტური პოლარიზაციის გამომწვევ განცხადებებსა და ნარატივებს, რომელთა გამართლების შემთხვევაშიც გარშემო იკრებენ მომხრეებს. ამის ფონზე, ახალგაზრდებში, შესაძლებელია მოხდეს გარკვეული სახის დაპირისპირებები, რასაც გამოიწვევს აფექტური განხეთქილება, მითუმეტეს რომ ახალგაზრდები არიან საზოგადოების სწორედ ის სეგმენტი, რომლებიც გამოირჩევიან ემოციურობის მაღალი დონით, შესაბამისად, ყველაზე სწრაფად იღებენ სიახლეებსა და სხვადასხვა სახის გზავნილებს, მათ შორის, პოლიტიკურსაც. სწორედ ამიტომ, ქართული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები აქტიურად არიან დაინტერესებულნი სტუდენტების მობილიზებასა და პარტიულობის მიკუთვნებაში, რასაც ახერხებენ ახალგაზრდული პოლიტიკური ფრთების დახმარებით. ახალგაზრდების დაინტერესებისთვის ისინი მათ სთავაზობენ პოლიტიკაში გზის გაკაფვის შესაძლებლობას, ლიდერულ პოზიციებს, სხვადასხვა რესურსზე წვდომის გამარტივებას (Khoshtaria et al., 2021).

ახალგაზრდების მხრიდან კონკრეტული პარტიებისა და იდეოლოგიების მხარდაჭერა, თავის მხრივ იწვევს პოლიტიკური ელიტების მხრიდან წამოწყებული პროპაგანდისტული განხეთქილებების გამწვავებას, რასაც ხელს უწყობს სოციალური მედიისა და ონლაინ პლატფორმების ჩართულობაც. ახალი არ არის, რომ ქართული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები, სხვა ქვეყნების მსგავსად, აქტიურად იყენებენ სოციალური მედიის საშუალებებს საზოგადოებასთან კომუნიკაციის გამარტივებისთვის. ონლაინ პლატფორმებზე, სოციალურ ქსელებში ავრცელებენ

გამიზნულ გზავნილებს, რომელთა დახმარებითაც ცდილობენ გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივი აზრის თავისდა სასიკეთოდ ფორმირებასა და პოლარიზების პროცესის გაღრმავებაზე. ამასთან, აღსანიშნავია რომ სოციალური მედიის გამოყენება არ არის ზედაპირული პროცესი, რადგან ელიტის წარმომადგენლები თავიანთი მიზნების მისაღწევად იყენებენ სოციალურ მედიაზე გათვლილ ალგორითმებს, ექო კამერებს, რომლებიც მომხმარებლებზე მორგებული შინაარსის შეტყობინებებს ავრცელებს შესაბამის სეგმენტთან, რაც, რა თქმა უნდა, იწვევს ემოციებზე გავლენას და შესაძლებელს ხდის გამოიწვიოს აფექტური პოლარიზაცია (ზურაბაშვილი, 2021ა). პოლიტიკური ელიტები ახალგაზრდებში პოლარიზაციის ასამაღლებლად იყენებენ მათ მოთხოვნილებებზე გათვლილი საკითხების პრიორიტიზებას, რომელთა პროპაგანდითაც ახერხებენ ახალგაზრდების დაინტერესებას (Khoshtaria et al., 2021).

CRRC-ის მკვლევარი აღნიშნავს, რომ მიუხედავად პოლიტიკურ ელიტებში ძალიან მკაფიო და მკვეთრი პოლარიზაციისა, საზოგადოებაში პოლარიზაცია ნაკლებად არსებობს და აქვე ასკვნის, რომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, პროცესი ქვემოდან ზემოთ კი არ მუშაობს უფრო მეტად, არამედ სავარაუდოდ - ზემოდან ქვემოთ.

პოლიტიკური ელიტების როლზე საუბრისას, ანალიტიკოსი ბაკურ კვაშილავა ხაზს უსვამს, რომ უკიდურესი რადიკალიზაციით მასობრივი პოლარიზაციის მაგალითი 1990-იან წლებში იყო სამოქალაქო ომი, რომლის წინაპირობა პოლიტიკური ელიტების მხრიდან საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის გაწეული პროპაგანდა გახდა, რაც საზოგადოებამ პირდაპირ აირეკლა. დღევანდელი გადმოსახედიდან კი, შესაძლოა წარსულის ამ მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, საზოგადოების დიდი ნაწილი და, მით უფრო, ახალგაზრდები, სტუდენტები, აპათიას გამოხატავენ პოლიტიკური ელიტების მიმართ, რაც ამცირებს მსგავსი მასობრივი ექსცესების განმეორების შესაძლებლობებს: *„დღეს ახალგაზრდობა უფრო ცინიკურია მსგავსი რადიკალიზაციისა და დამოკიდებულებების მიმართ, მას არ სჯერა ელიტების გულწრფელობის ამ დაპირისპირებაში, მეორე მხრივ ეს დემოტივატორია მათი პოლიტიკაში ჩართულობისა“. (სიღრმისეული ინტერვიუ, 01.06.23)*

CRRC-ის ჩატარებული გამოკითხვის („პარტიულობა და ემოციური პოლარიზაცია საქართველოში“, 2023) შედეგებიდან ჩანს, რომ საზოგადოებაში,

პოლიტიკური პარტიების მიხედვით არ ხდება ინდივიდებს შორის პოლარიზაციის ზრდა და სხვა პარტიის მხარდამჭერ მეგობრებთან თავს კომფორტულად იგრძნობდნენ.

დიაგრამა 1. დამოკიდებულება ოპოზიციის მხარდამჭერი მეგობრის მიმართ (%)



შენიშვნა: ეს კითხვა ოპოზიციის მხარდამჭერებს არ დაესვა
წყარო: https://crrc.ge/uploads/tinymce/documents/Projects/GEO-Partisanship%20and%20Affective%20Polarization_NED.pdf

დიაგრამა 2. დამოკიდებულება "ქართული ოცნების" მხარდამჭერი მეგობრის მიმართ (%)



შენიშვნა: ეს კითხვა "ქართული ოცნების" მხარდამჭერებს არ დაესვა
წყარო: https://crrc.ge/uploads/tinymce/documents/Projects/GEO-Partisanship%20and%20Affective%20Polarization_NED.pdf

3.2. მედიის გავლენა სტუდენტების პოლარიზაციაზე

დემოკრატიულ ქვეყანაში მედიამ არა მხოლოდ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მოქალაქეებს, არამედ ის უნდა მოქმედებდეს როგორც ფორუმი საჯარო დებატებისთვის, რადგან მოქალაქეები მედიას ეყრდნობიან ინფორმაციის მისაღებად. აუცილებელია მედიამ პოლიტიკური ელიტას პასუხისმგებლობა დააკისროს და ხალხის წინაშე რეაგირება მოახდინოს (Voltmer, 2006). გარდამავალ დემოკრატიებში მედია ხდება კონფლიქტური არეალი, სადაც პერსონალური და იდეოლოგიური პოზიციები გამოიყენება პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დასაძირკვად, განხეთქილების გასაძლიერებლად და ზრახვების სპეკულირებისთვის. გარდა ამისა, გარდამავალ ქვეყანაში მედია უფრო ადვილად ინსტრუმენტალიზდება და ჩნდება მნიშვნელოვანი კომერციული იმპერატივები, რომლებიც უზარმაზარ ზეწოლას ახდენენ მედია-საშუალებებზე, რათა მოახდინონ სენსაციალიზმი, რაც კიდევ უფრო ძირს უთხრის არგუმენტირებულ დისკუსიებს და გაშუქებას პროცესების გარშემო (Voltmer, 2004).

მედიას დიდი როლი აქვს საზოგადოების აზრის ფორმირებაში და გამონაკლისი არც ახალგაზრდები არიან. საქართველოში მედიის გავლენა ახალგაზრდების

პოლარიზაციაზე მოქმედებს მათი პერსპექტივების ფორმირებასა და პოლიტიკური პოლარიზაციის ფაქტორებზე. სხვადასხვა მედია საშუალებები (ტრადიციული, ციფრული) ახერხებენ ინფორმაციის გავრცელების გზით საზოგადოებაში შექმნან გარკვეული ნარატივები (ზურაბაშვილი, 2021ბ).

საქართველოში იკვეთება მედიის მიკერძოებულობა ან გარკვეულ პოლიტიკურ ინტერესებთან მიკუთვნებულობა. საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მედია-საშუალებები ასოცირდებიან პოლიტიკური იდეოლოგიების სხვადასხვა წარმომადგენლებთან. აღსანიშავია, რომ მედიის მხრიდან მიკერძოებულმა პოზიციამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ახალგაზრდებში კონკრეტული პოლიტიკური პოზიციას. ქართული მედია საშუალებები სხვა ქვეყნების მსგავსად, იყენებენ ემოციებზე გათვლილ გზავნილებს, რაც აუდიტორიის ყურადღებას იპყრობს და მათ შენარჩუნებას ახერხებს. ემოციური გზავნილები ხელშემწყობი ფაქტორია კონფლიქტური სიტუაციების გაღვივებისა და გაძლიერებისა, ვინაიდან მძაფრად გამოკვეთს განსხვავებებს. ამასთან, არსებობს დეზინფორმაციის გავრცელების საშიშროებაც.

CRRC-ის მკვლევარი ქართულ მედიებთან დაკავშირებით აღნიშნავს: *„ჩვენთან მედია პოლიტიკური პარტიების წანაზარდია, პოლიტიკური ელიტები სხვადასხვა პლატფორმით, ერთმანეთთან ლაპარაკის გარეშე ესაუბრებიან მასებს და ბომბავენ მათ ნეგატიური კამპანიით“.* (სიღრმისეული ინტერვიუ, 25.05.23) აქვე დასძენს, რომ მედია თავისთავად უნდა იყოს აქტორი, რომელიც ზოგიერთ საკითხში შემაკავებლის როლსაც კი ითამაშებს იმ პარტიისთვის, რომელთანაც არის აფელირებული. მსგავსად, მასობრივ პოლარიზაციაში მედიის როლთან დაკავშირებით, ანალიტიკოსი ბ. კვაშილავა აღნიშნავს, რომ საქართველოში პრაქტიკულად ცალკე გამოყოფილი არ არის მედიებისა და პოლიტიკური ელიტის როლი ერთმანეთისგან. რაც გამომდინარეობს იქედან რომ მიუხედავად ე.წ. „თავისუფალი მედიის“ არსებობისა, შეინიშნება მედია საშუალებების პარტიულობა. ბ. კვაშილავას აზრით, ასეთი განსხვავებული პოზიციები მრავალფეროვნებას იძლევა, ვინაიდან ერთპარტიული მედია სივრცის შემთხვევაში არჩევანის თავისუფლება არ არსებობს. მედიის მიმართ უნდობლობის ფაქტი მტკიცდება 2023 წლის სატელეფონო გამოკითხვის (CRRC) შედეგებშიც, რომლის მიხედვითაც - „ახალგაზრდები ტელევიზიების მიმართ უნდობლობით გამოირჩევიან“.

დიაგრამა 3. „ახალგაზრდები ტელევიზიების მიმართ უნდობლობით გამოირჩევიან“.



წყარო: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_March%202023%20telephone%20poll_Geo_PUBLIC%20VERSION_FINAL_02.05.pdf

3.3. პოლარიზაცია სტუდენტებში (ფოკუს ჯგუფის მიგნებები)

სტუდენტებში არსებული პოლარიზაციის სიღრმისეულად გაანალიზების მიზნით ჩატარდა კვლევა, რომელიც თვისებრივი კვლევის მეთოდის, კერძოდ ფოკუს ჯგუფის მეშვეობით განხორციელდა. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულია ვინეიტის ტექნიკა [4] , (იმისათვის, რომ მაქსიმალურად შემცირებულიყო შესაძლო კონფორმულობა) და ნახევრადსტრუქტურირებული გზამკვლევი. კვლევა ჩატარდა ოთხ ჯგუფში, 12-12 სტუდენტთან, რომლებიც ბათუმისა (2) და თბილისის (2) უნივერსიტეტების სტუდენტები არიან. წარმოდგენილ ქვეთავში სტუდენტების

პოლარიზაციის საკითხთან მიმართებით, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე არსებული სურათი და ძირითადი მიგნებებია გაანალიზებული.

კვლევის შედეგების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სტუდენტებში პოლარიზაცია არ არის გამოკვეთილი და უნივერსიტეტებში არ შეინიშნება სტუდენტებს შორის დაპირისპირება ან პოლარიზებული ჯგუფების შემთხვევები რეგიონული განაწილების მიხედვით. სტუდენტები მიიჩნევენ, რომ ყველას უნდა ჰქონდეს აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება და საკითხების განსხვავებულად განხილვა სულაც არ არის აუცილებელი რომ პოლარიზაციად აღიქმებოდეს, ვინაიდან, მათი აზრით, ჯანსაღი კამათი ჯანსაღ აზრამდე მისვლის, გამოსავლის ძიების ყველაზე კარგი საშუალებაა და, პირიქით, განსხვავებული აზრების არსებობა ხელს უწყობს მრავალფეროვნებას, არჩევანის თავისუფლებასა და რაციონალურობის შენარჩუნებას, რაც სტუდენტებს ეხმარება ანალიტიკური აზროვნების განვითარებაში. სწორედ ანალიტიკური აზროვნების მეშვეობით ახერხებენ სტუდენტები სკეპტიკურად და ნაკლები ემპათიით შეხედონ პოლიტიკური ელიტების პირდაპირ თუ ირიბ გზავნილებს, უნდობლობას უცხადებენ მედია საშუალებებს და მათგან მიღებულ ინფორმაციას სხვადასხვა წყაროებში ამოწმებენ. სტუდენტები თვლიან, რომ დღევანდელი ქართული მედია არ არის გათავისუფლებული პოლიტიკური აფელირებისგან და მასზე დიდი ზეწოლა მოდის სხვადასხვა პოლიტიკური ელიტებისგან. სტუდენტები, ასევე, სკეპტიკურად არიან განწყობილნი ერთი შეხედვით საზოგადოებაში აღიარებული და მოწონებული პოლიტიკოსების მიმართ და ცდილობენ ემოციური ფაქტორები გვერდზე გადადონ, შეფასება კი უფრო ჯანსაღი და კრიტიკული გზებით მოახდინონ, რის შემდეგაც გააანალიზონ რამდენად მისაღებია ესა თუ ის პერსონა. ქეისების შეთავაზებისას, კვოტირების საკითხზე სტუდენტი აღნიშნავს: *„ბუნდოვანია როგორ უნდა შემქნას (გიორგიმ) თანაბარი შესაძლებლობები ყველასათვის, განურჩევლად სქესისა ჩვენს რეალობაში, ამიტომ მხარს ანას დავუჭერ“* (კაცი, ბათუმი, 27.05.23). კვლევის შედეგებიდან იკვეთება სტუდენტებს შორის ერთმანეთისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება და განსხვავებული აზრის შემთხვევაში ერთმანეთის მოსმენა, შეხედულებების გაზიარება და კონსენსუსამდე, ისეთ გადაწყვეტილებამდე მისვლა, რომელიც უმრავლესობისთვის სასიკეთო და

მისაღებია. სტუდენტების დიდი ნაწილი, საერთოდაც ნეგატიურად აფასებს პოლიტიკური ინსტიტუტების საქმიანობას და თვლიან, რომ საზოგადოებაში სხვადასხვა ინსტიტუტები უნდა იყვნენ ნაკლებად პოლიტიზირებულნი. იმის მიუხედავად, რომ სტუდენტების უმრავლესობა არის ევროინტეგრაციის მომხრე და გმობენ პრორუსულ აქტივობებს, რაც თითქოსდა ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგიის ნაწილია, ისინი თავს არ მიაკუთვნებენ არც ერთ პოლუსს, ვინაიდან, ისინი საკითხს შედარებით ფართო პრიზმიდან უყურებენ, ცდილობენ კრიტიკული თვალით დაინახონ სხვადასხვა ფაქტის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები და, აქედან გამომდინარე, გამოიტანონ დასკვნები.

ვინეიტის მეთოდის გამოყენებით სტუდენტებისთვის შეთავაზებული იყო რამდენიმე ქეისი, რომელთა შესახებ მიღებული პასუხებითაც უნდა გამოკვეთილიყო - სტუდენტებში პოლიტიკური პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის მუშაობის, არჩევნებში გენდერული კვოტირების საკითხისა და საგარეო პოლიტიკური კურსის მიმართ დამოკიდებულებები, აღქმები და ემოციები. პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმება სტუდენტებს უფრო ფართო არეალს გაუხსნის პროფესიული განვითარების თვალსაზრისით: *„ვფიქრობ, არასამთავრობო ორგანზიაციას უპირატესობა უნდა მიანიჭორს ნიკამ, რადგან მე მჯერა, რომ სამოქალაქო საზოგადოება არის ჯანსაღი დემოკრატიის ხერხემალი და სწორედ ის უზრუნველყოფს ხელისუფლების კონტროლსა და წონასწორობას“* (კაცი, თბილისი, 27.05.23). თუმცა რამდენიმე მათგანმა აღნიშნა, რომ ვინაიდან პოლიტიკურ პარტიებს აქვთ დიდი რესურსები და გავლენები, სტუდენტებისთვის მათთან თანამშრომლობა უფრო პროდუქტიული და შედეგიანი იქნება:

> *„ვფიქრობ, თუ პარტია ძლიერია და აქვს გავლენები ქვეყანაში, ნიკამ უპირატესობა უნდა მიანიჭოს მას, რადგან საშუალება ექნება თანამოაზრე პირებთან ერთად მუშაობის, საერთო ხედვების მიხედვით პოლიტიკის შემუშავების. ძლიერი პარტიები ხელს უწყობენ პროგრესს, ხოლო არასამთავრობო ზოგჯერ შეიძლება იყოს ფრაგმენტული და ნაკლებად ეფექტური“*(ქალი, თბილისი, 27.05.23).

არჩევნებში კვოტირების შესახებ, სტუდენტების უმრავლესობა ემხრობა კვოტირების საკითხს და მიიჩნევს, რომ ეს გადამწყვეტ როლს შეასრულებს ზოგადად ქვეყანაში არსებული გენდერული დისბალანსის გამოსწორებაში და ქალთა უფლებების დაცვის ხელშეწყობაში:

> *„რეალურად დღეს არ გვაქვს იმის ფუფუნება, ვისაუბროთ გენდერული კვოტირება საჭიროა თუ არა, არამედ ის აუცილებელია საქართველოს მსგავს ქვეყანაში. ამიტომ მხარს დავუჭერ ანას, რადგან უნდა ვაღიაროთ სისტემური ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის თანაბარ წარმომადგენლობას. კვოტები ბარიერების წაშლისკენ წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. ყველაზე დიდი პრობლემა მაინც ის მგონია, რომ ქალებს გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ვერ ვხედავთ, არ არიან წარმოდგენილები“* (ქალი, თბილისი, 28.05.23).

თუმცა გამოითქვა აზრი იმის შესახებაც, რომ კვოტირება შესაძლოა არ იყოს აუცილებელი, ვინაიდან სხვა მახასიათებლებით უნდა ხდებოდეს კანდიდატების შერჩევა, გამოკითხული სტუდენტებიდან არცერთი ეწინააღმდეგება კვოტირების დანერგვას; საგარეო პოლიტიკურ კურსზე საუბრისას, ყველა სტუდენტმა ერთხმად აღნიშნა, რომ ისინი მომხრენი არიან ევროინტეგრაციის, ევროკავშირში გაწევრიანების და, თვლიან, რომ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა გამორიცხულია:

> *„ნაცნობი რიტორიკა ჩვენი პოლიტიკური რეალობისთვის. რუსეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობას არასდროს ჩვენთვის დადებითი არ მოუტანია, პირიქით. იმედია, რომ ის განწობები, რასაც ასაკოვან ადამიანებში ხშირად ვხვდებით, ჩემს თაობაში შეცვლილია და კი, ჩემს გარშემო ასეც არის, არ მეგულება ახალგაზრდა, ვინც პრორუსულად არის განწყობილი. ამიტომ აბსოლუტური მხარდაჭერა A პარტიას“* (ქალი, ბათუმი, 29.05.23).

დასასრულს, რესპონდენტი ასკვნის: *„როგორც ჩანს, ერთსულოვნად ვთანხმდებით ყველა, რომ ევროკავშირი საქართველოს ერთადერთი რაციონალური არჩევანია და სხვა ალტერნატივა, მითუმეტეს რუსეთის სახით, არ არსებობს* (კაცი, თბილისი, 29.05.23).

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, გამოჩნდა, რომ სტუდენტებში საკითხებზე ორიენტირებული პოლარიზაცია არ იკვეთება და ზემოხსენებულ თემებზე უმრავლესობას აქვს ერთმანეთის მსგავსი შეხედულებები.

ზემოაღნიშნულის კიდევ ერთ დასტურად, შეიძლება მოვიყვანოთ CRRC-ის მიერ ჩატარებული სატელეფონო გამოკითხვის (2023 წლის მარტი, საზოგადოების განწყობა საქართველოში) შედეგები, საიდანაც ჩანს რომ ქართველი ახალგაზრდები ერთხმად აღიარებენ რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების შეზღუდვის აუცილებლობას:

დიაგრამა 4. რუსეთთან საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობაზე დამოკიდებულებები



წყარო: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_March%202023%20telephone%20poll_Geo_PUBLIC%20VERSION_FINAL_02.05.pdf

ახალგაზრდებს დადებითი დამოკიდებულება აქვთ ასევე, ევროკავშირთან მჭირდო პოლიტიკური თანამშრომლობასთან მიმართებაში (CRRC):

დიაგრამა 5. საქართველოს მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობისთვის სასურველი ქვეყნები



წყარო: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_March%202023%20telephone%20poll_Geo_PUBLIC%20VERSION_FINAL_02.05.pdf

აქვე აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს მომხდარმა მოვლენებმა, მაგალითად, საპროტესტო აქციამ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით, ახალგაზრდების მხრიდან მასობრივმა საპროტესტო გამოსვლებმა, ყველას ნათლად დაანახა თუ რაოდენ დამოუკიდებლები არიან ისინი პოლიტიკური ზეგავლენისგან, რომ ორიენტირებულნი არიან განვითარებაზე, წინსვლაზე, მნიშვნელოვანია ევროინტეგრაცია. საკითხთან დაკავშირებით პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსი აღნიშნავს: *„მარტის მოვლენებმა აჩვენა, რომ ხელისუფლებასაც და არახელისუფლებასაც დავიწყებული ჰყავდა თქვენი თაობა, იზრდებით, ვითარდებით, ტექნოლოგიების ათვისება უფრო მარტივად შეგიძლიათ, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა უფრო გაქვთ და შეგიძლიათ იყოთ რეზისტენტულნი“* (სიღრმისეული ინტერვიუ, 30.05.23). ახალგაზრდებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით შეძლეს გაერთიანება და ერთიანი მიზნისთვის ბრძოლა, ქვეყნის ფარგლებში სხვადასხვა ლოკაციებზე ერთდროულად ჩატარდა სტუდენტური

მოძრაობების მიერ ორგანიზებული აქციები და, შედეგმაც არ დააყოვნა. აქციაზევე შეინიშნებოდა პოლიტიკური ელიტების მხრიდან გარკვეული მიზანმიმართული ნარატივების გავრცელება, თუმცა ახალგაზრდებმა ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ ისინი არ მიეკუთვნებოდნენ არც ერთ პოლიტიკურ ელიტას და საპროტესტო აქციებზე გამოსულნი იყვნენ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე.

დასკვნა

წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში შესწავლილია პოლიტიკური ელიტების უკიდურესი რადიკალიზაციის გავლენა სტუდენტობის პოლარიზაციაზე საქართველოს კონტექსტში თბილისისა და ბათუმის მაგალითზე. სამეცნიერო

ლიტერატურის შესწავლისა და გაანალიზების შედეგად, დადგინდა რომ პოლიტიკური ელიტები ცდილობენ გავლენა მოახდინონ ზოგადად საზოგადოების აზროვნების ფორმირებასა და პოლარიზაციაზე. ვინაიდან, ახალგაზრდები წარმოადგენენ საზოგადოების ყველაზე ემოციურ და მომავლის ფორმირებისთვის მნიშვნელოვან სეგმენტს, პოლიტიკური ელიტების დაინტერესება მათი გავლენის ქვეშ მოქცევაში ძალიან დიდია. პოლიტიკური ელიტები სხვადასხვა მექანიზმებითა და ნარატივებით ცდილობენ ახალგაზრდების დაინტერესებას, რაც პოლარიზაციის წინაპირობაა. პოლარიზაციაზე გავლენას ახდენს მედია საშუალებები, გარკვეულ ემოციებზე მიმართული განცხადებები.

თეორიულ-პრაქტიკულ შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო მაღალი პოლიტიკური პოლარიზაციით გამოირჩევა, რაც გასაკვირი არც არის პოსტ-საბჭოური ქვეყნებისთვის. ზოგადად, პოლარიზაციის საკითხი აქტუალურია მთელ მსოფლიოში, როგორც აღმოსავლეთ ევროპის, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, ისე დასავლეთ ევროპაში. თუმცა განსხვავებული ფორმით ვლინდება ყველგან, ვინაიდან, ამ განსხვავებას განაპირობებს ქვეყნის ისტორიულ-კულტურული ნარატივები, ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობა და სხვა ფაქტორები.

წყაროების მეორეული ანალიზის შედეგად გამოჩნდა, რომ საქართველოში პოლიტიკური პოლარიზაცია მორგებულია აფექტურ მოდელს და ორიენტირებულია ემოციების მართვაზე, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ არსებობს ვიწრო პარტიული ინტერესები, ნაცვლად ეროვნული პოლიტიკური მენტალიტეტისა. პოლარიზაცია ელიტების სტრატეგიაა ძალაუფლების შესანარჩუნებლად. თუ დასავლეთში კომპრომისი სიძლიერედ აღიქმება, საქართველოში ის სისუსტის გამოხატულებაა და შესაბამისად, არ არსებობს კონსესუსზე ორიენტირებული პოლიტიკური კულტურა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გამოკვეთილია ორი მასიური პოლიტიკური ძალა და მის ქვეშ გაერთიანებული ჯგუფები, რაც იმაზე მეტყველებს რომ საქართველო გამოირჩევა რადიკალური პოლარიზაციით, კვლევის შედეგებიდან გამოჩნდა რომ სტუდენტებში პოლარიზაცია პრაქტიკულად არ ვლინდება. პოლიტიკური ელიტების უკიდურესი რადიკალიზაციის მიუხედავად, სტუდენტებში არ იკვეთება საკითხებზე ორიენტირებული პოლარიზაცია. შედეგებმა დაგვანახა, რომ

ახალგაზრდები მეტად კრიტიკულად უდგებიან დარგობრივ საკითხებს და ფილტრავენ ყველა შეთავაზებულ პოლიტიკურ ინფორმაციას სხვადასხვა სანდო წყაროში გადამოწმების გზით.

სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანია ინკლუზიური, მრავალფეროვანი პოლიტიკური გარემო, თავისუფალი არჩევანის საშუალება და ჯანსაღი დებატები, რომლის ფარგლებშიც ისინი მოახერხებენ რაციონალური და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებას.

ყოველივე ზემოხსენებული საკითხიდან გამომდინარე, გამოჩნდა, რომ მიუხედავად პოლიტიკური ელიტების უკიდურესი რადიკალიზაციისა საქართველოში, სტუდენტები არ არიან პოლარიზებულნი და არ ექცევიან პოლიტიკური ელიტების მიერ შეთავაზებულ ჩარჩოებში. ამის ახსნა შეიძლება იმით, რომ ახალგაზრდებს, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, წვდომა აქვთ უამრავ რესურსთან, შესაძლებლობებთან, რომელთა მეშვეობითაც ახერხებენ პოლარიზაციის მცდელობების დაბალანსებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბესაძე გ., აბესაძე ნ., (2022), თანამედროვე ქართული პოლიტიკური სცენის დომინანტი ინსტიტუციური აქტორები და პოლიტიკური სტაბილურობა, ჟურნალი - ბიზნესი და კანონმდებლობა, №2, 2022, სპეციალური გამოცემა, 76-81 - https://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/763/730 - გადამოწმებულია 20/05/2023

ბიჭაშვილი გ. (რედ.), (2004) სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, თბილისი: ლოგოს პრესი - http://css.ge/wp-content/uploads/2019/07/Leqsikoni_01.pdf - გადამოწმებულია 25/03/2023

ზურაბაშვილი თ., (2019), ორად დაყოფა: რა განაპირობებს პოლარიზაციას საქართველოში? Democracy Reporting International (DRI), Strengthening Political Pluralism in Georgia Project, August 2019 - https://medium.com/strengthening-political-pluralism-in-georgia/შუაზე-გახლეჩა-რა-მართავს-პოლიტიკურ-პოლარიზაციას-საქართველოში-476b5bdf1aec - გადამოწმებულია 17/04/2023

ზურაბაშვილი თ., (2021ა), პოლიტიკური ლანდშაფტის პოლარიზაცია და ფრაგმენტაცია: გავლენა ქართულ დემოკრატიაზე (ინტერვიუ ექსპერტთან), საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ინტერვიუ ექსპერტთან, ივლისი 2021, გამოცემა #7 - https://gip.ge/wp-content/uploads/2022/03/ინტერვიუ-ექსპერტთან-7-1.pdf - გადამოწმებულია 17/04/2023

ზურაბაშვილი თ., (2021ბ), პოლიტიკური პოლარიზაცია - მოჯადოებული წრე თუ ხელიდან გაშვებული შესაძლებლობა პატარა პარტიებისთვის? საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, GIP პოლიტიკის მემორანდუმი, ოქტომბერი 2021, გამოცემა #50 - https://gip.ge/wp-content/uploads/2022/02/პოლიტიკის-მემორანდუმი-50_ზურაბაშვილი-1.pdf - გადამოწმებულია 16/04/2023

თევზაძე გ., ზედანია გ., (თარიღი უცნობია), საქართველოს პოლიტიკური ელიტა: სიმბოლური გაცვლა და სოციალური მითოლოგია, 6-21 - https://shorturl.at/wxGN7 - გადამოწმებულია 12/06/2023

კანდელაკი ს., (2022), პოლიტიკური პოლარიზაცია და თვითმმართველობა: ბრძოლა თავისუფლებისთვის, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი - https://gip.ge/ka/პოლიტიკური-პოლარიზაცია-დ/ - გადამოწმებულია 16/06/2023

ლებანიძე ბ., (2021), პარტიული პოლიტიკის რადიკალიზაცია საქართველოში: გრძელვადიანი სტაბილურობის ძიებაში, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, პოლიტიკის ნარკვევი, მაისი 2021, გამოცემა #34 - https://gip.ge/wp-content/uploads/2021/09/პოლიტიკის-ნარკვევი-34_ლებანიძე.pdf - გადამოწმებულია 20/04/2023

ნასყიდაშვილი ა., (2014), ელიტების/ინტერესთა ჯგუფების ზეგავლენა საჯარო პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებაზე, თბილისი - https://shorturl.at/qEHZ0 - გადამოწმებულია 12/06/2023

სამხარაძე ნ., (2022), რა სახე აქვს პოლარიზაციას საქართველოში და როგორ გავზომოთ ის? საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, GIP პოლიტიკის მემორანდუმი, ოქტომბერი 2022, გამოცემა #60 - https://gip.ge/wp-content/uploads/2022/10/პოლიტიკის-მემორანდუმი-60.pdf - გადამოწმებულია 17/06/2023

სილაგაძე გ., (2023), პარტიულობა და ემოციური პოლარიზაცია საქართველოში, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი - CRRC საქართველო - https://crrc.ge/uploads/tinymce/documents/Projects/GEOPartisanship%20and%20Affective%20Polarization_NED.pdf - გადამოწმებულია 14/05/2023

სილაგაძე გ., გოზალიშვილი ნ., (2019). უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზაცია, როგორც დემოკრატიზაციის პროცესის წინაშე არსებული საფრთხე: საქართველოს მაგალითი, Democracy Reporting International (DRI), Strengthening Political Pluralism in Georgia Project, September 2019 - https://medium.com/strengthening-political-pluralism-in-georgia/უკიდურესი-პოლიტიკური-პოლარიზაცია-როგორც-დემოკრატიზაციის-პროცესის-წინაშე-არსებული-საფრთხე-129d261a1973 - გადამოწმებულია 17/06/2023

სუმბაძე ნ., (2012), თაობები და ღირებულებები, თბილისი - https://shorturl.at/gipSY - გადამოწმებულია 12/06/2023

ტუკვაძე ა., აბზიანიძე ა., გელაშვილი ე., (2023), კულტურული ელიტა: ეროვნულ-პოლიტიკური იდენტობის ფორმირების აქტორი, ჟურნალი - ქართველი მეცნიერები, ტ. 5, № 1, 2023, 274-288 -

https://journals.4science.ge/index.php/GS/article/view/1572/1593 - გადამოწმებულია 12/06/2023

ქაფიანიძე ქ., (2017), საზოგადოების პოლარიზაცია, როგორც პოპულიზმის ზრდის განმაპირობებელი ფაქტორი: საქართველოს მაგალითი (სამაგისტრო ნაშრომი), თბილისი - https://shorturl.at/inzW1 - გადამოწმებულია 10/03/2023

ჩხეტიანი ლ., (2022), პოლიტიკური პოლარიზაცია საქართველოში: რას ვგულისხმობთ სინამდვილეში? სოციალური სამართლიანობის ცენტრი - https://socialjustice.org.ge/ka/products/politikuri-polarizatsia-sakartveloshi-ras-vguliskhmobt-sinamdvileshi - გადამოწმებულია 17/06/2023

Akobia E., (2016), European Security Order: Historical and Theoretical Appraisal of The Russian View, Journal of Young Researchers, No. 3, July 2016 – http://jyr.tsu.ge/public/uploads/sitepdf/01_eka-akobia.publ_.pdf - გადამოწმებულია 19/05/2023

Axelord R., Daymude J. J., Forres S., (2021), Preventing Extreme Polarization of Political Attitudes, arXiv:2103.06492vl, March 2021 - https://www.researchgate.net/publication/350004978_Preventing_Extreme_Polarization_of_Political_Attitudes - გადამოწმებულია 01/06/2023

Baldassarri D., Gelma A., (2008), Partisans without Constraint: Political Polarization and Trends in American Opinion, AJS, January 2008, 114(2):408-446 - doi: 10.2139/ssrn.1010098 - გადამოწმებულია 01/06/2023

Burneika et al., (2022), Socio-Spatial Polarisation and Policy Response: Perspectives for Regional Development in the Baltic States, European Urban and Regional Studies, 2022, Vol. 29(1), 21-44 - https://journals.sagepub.com/doi/pdf/10.1177/09697764211023553 - გადამოწმებულია 04/06/2023

Byrne D., (1998), Complexity Theory and The Social Sciences: An Introduction, London and New York - https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=McxghZHReiMC&oi=fnd&pg=PR7&dq=social+polarisation+theory&ots=-5FHfrfOmQ&sig=2gS0K6WbW7u3R8Z-8pDAlE9Adk8&redir_esc=y#v=onepage&q&f=false - გადამოწმებულია 10/05/2023

Dalton Russell J., (2008), The Quantity and the Quality of Party Systems: Comparative Political Studies, 41 (7). 2008, 899–920, https://journals.sagepub.com/doi/10.1177/0010414008315860 - გადამოწმებულია 15/03/2023

Hardy K., (2018). Comparing Theories of Radicalisation with Countering Violent Extremism Policy, Journal For Deradicalization, Summer 2018, №15, 76-110 - https://digitalcommons.fiu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1458&context=srhreports - გადამოწმებულია 09/04/2023

Hetherington Marc J. (2009) Review Article: Putting Polarization in Perspective." British Journal of Political Science, 39 (2). 413–448. https://www.researchgate.net/publication/231795199_Review_Article_Putting_Polarization_in_Perspective - გადამოწმებულია 15/03/2023

Hogg M. A., (2016) Social Identity Theory, In: McKeown, S., Haji, R., Ferguson, N. (eds) Understanding Peace and Conflict Through Social Identity Theory. Peace Psychology Book Series. Springer, Cham. https://doi.org/10.1007/978-3-319-29869-6_1 - გადამოწმებულია 17/06/2023

Iyengar S., Westwood S. J., (2014), Fear and Loathing Across Party Lines: New Evidence on Group Polarization, American Journal of Political Science, Volume 59, Issue 3, 690-707 - https://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/ajps.12152 - გადამოწმებულია 03/06/2023

Marcus G., Neuman W. R., MacKuen M., (2000), Affective Intelligence and Political Judgment, The University of Chicago Press, Chicago and London - https://www.academia.edu/309047/Affective_Intelligence_and_Political_Judgment - გადამოწმებულია 17/06/2023

NDI, (2023), საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2023 წლის მარტში ჩატარებული სატელეფონო გამოკითხვის შედეგები, CRRC-ის კვლევა - *https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_March%202023%20telephone%20poll_Geo_PUBLIC%20VERSION_FINAL_02.05.pdf -* გადამოწმებულია 25/06/2023

Kakachia K., (n.d.), Radicalization of Georgian Politics: Threat to Sustainable Stability – https://dradproject.com/radicalization-of-georgian-politics-threat-to-sustainable-stability/ - გადამოწმებულია 25/06/2023

Kertezer J. D., Renshon J., (2022), Experiments and Surveys on Political Elites, Annual Review of Political Science, Vol. 25:529-550, May, 2022 - https://www.annualreviews.org/doi/full/10.1146/annurev-polisci-051120-013649 - გადამოწმებულია 12/06/2023

Khoshtaria T., Zubashvili N., Metreveli E., Emukhvari K., (2021), Youth Values and Political Activism in Georgia, Tbilisi: GFSIS - https://gfsis.org.ge/files/library/pdf/Youth-Values-and-Political-Activism-in-Georgia--3190.pdf - გადამოწმებულია 17/06/2023

Parry G., (2005), Political Elites, ECPR Press - https://shorturl.at/dyKT5 - გადამოწმებულია 12/06/2023

Peabody, R., Hammond, S., Torcom, J., Brown, L., Thompson, C., & Kolodny, R. (1990). Interviewing Political Elites. PS: Political Science & Politics, 23(3), 451-455 - https://shorturl.at/ALPX7 - გადამოწმებულია 12/06/2023

Romenskyy M., Spaiser V., Ihle T., Lobaskin V., (2018), Polarized Ukraine 2014: Opinion and Territorial Split Demonstrated with the Bounded Confidence XY Model, Parametrized by Twitter Data, Royal Society Open Science - https://royalsocietypublishing.org/doi/10.1098/rsos.171935#comments - გადამოწმებულია 12/06/2023

Savage, L. (2013). Party System Polarisation and Government Duration in Central and Eastern Europe. *West European Politics*, *36*(5), 1029-1051.

Schmitt, H., & Freire, A. (2012). Ideological polarization: Different worlds in East and West. *Citizens and the European polity: Mass attitudes towards the European and national polities*, 65-87.

Somer M., McCoy J., (2018), Déjà vu? Polarization and Endangered Democracies in the 21st Century, American Behavioral Scientist, Volume 62, Issue 1, January, 2018, 3-15 - https://journals.sagepub.com/doi/10.1177/0002764218760371 - გადამოწმებულია 12/06/2023

Szomolányi, S. (2004). Slovakia: From a Difficult Case of Transition to a Consolidated Central European Democracy - https://src-h.slav.hokudai.ac.jp/sympo/03september/pdf/S_Szomolanyi.pdf- გადამოწმებულია 14/04/2023

Tukvadze A., et al., (2021), The Sociology and Education of the Political Elite in Post-Soviet Georgia, SHS Web of Conferences 103(4):02015, January 2021 - https://www.researchgate.net/publication/351315143_The_sociology_and_education_of_the_political_elite_in_post-Soviet_Georgia- გადამოწმებულია 14/04/2023

Turmanidze K., (Ed.), (2020), Public Opinion In Georgia: New Caucasus Barometer Results, Caucasus Analytical Digest, No. 116, July 2020 - https://www.laender-analysen.de/cad/pdf/CaucasusAnalyticalDigest116.pdf - გადამოწმებულია 13/05/2023

Vecchi A., Silva E. S., Angel L. M. J., (2021), Nation Branding, Cultural Identity and Political Polarization – An Exploratory Framework, International Marketing Review, Vol. 38, No. 1, 70-98 - https://www.emerald.com/insight/content/doi/10.1108/IMR-01-2019-0049/full/html - გადამოწმებულია 17/06/2023

Voltmer, K. (2004). Mass media and political communication in new democracies. London: Routledge- file:///C:/Users/User/Downloads/Mass_Media_and_Political_Communication_i.pdf გადამოწმებულია 14/06/2023

Voltmer, K. (Ed.). (2006). Mass media and political communication in new democracies. London: Routledge - https://www.routledge.com/Mass-Media-and-Political-Communication-in-New-Democracies/Voltmer/p/book/9780415459716 გადამოწმებულია 14/06/2023

Woo J., (2003), Social Polarization, Industrialization, and Fiscal Instability: Theory and Evidence, Journal of Development Economics 72 (2003), 223-252 - https://fac.comtech.depaul.edu/jwoo1/research/woo2.pdf - გადამოწმებულია 17/06/2023

Yang J., et al., (2016), Why Are "Others" So Polarized? Percieved Political Polarization and Media Use in 10 Countries, Journal of Computer-Mediated Communication, Volume 21, Issue 5, September 2016, 349-367 - https://academic.oup.com/jcmc/article/21/5/349/4161799?login=false - გადამოწმებულია 19/06/2023

დანართი:

დანართი 1.

ინტერვიუ ექსპერტებთან:

1. სიღრმისეული ინტერვიუ #1- CRRC-ის მკვლევარი. 25 მაისი, 2023.
2. სიღრმისეული ინტერვიუ #2- პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსი. 30 მაისი, 2023.
3. სიღრმისეული ინტერვიუ #3 - ლევან კახიშვილი - პოლიტიცის მეცნიერი, პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსი. 30 მაისი, 2023.
4. სიღრმისეული ინტერვიუ #4 - ბაკურ კვაშილავა - საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი. 01 ივნისი, 2023.
5. სიღრმისეული ინტერვიუ #5 - ნინო სამხარაძე - პოლიტიკის მეცნიერი, პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსი. 06 ივნისი, 2023.

ინტერვიუს გზამკვლევი დარგის ექსპერტთათვის

1. როგორ განსაზღვრავდით პოლარიზაციას საქართველოს პოლიტიკურ კონტექსტში? რა ტიპის პოლარიზაცია არსებობს საქართველოში?
2. რა განაპირობებს, რითია გამოწვეული მსგავსი შემთხვევა და რა განასხვავებს მას დასავლური გამოცდილებისგან?
3. როგორია პოლიტიკური ელიტებისა და მედიის როლი საქართველოში პოლარიზებული ლანდშაფტის ჩამოყალიბებაში?
4. რა არის საქართველოში პოლიტიკური ელიტების უკიდურესი რადიკალიზაციის გამომწვევი ძირითადი ფაქტორები?
5. როგორ გავლენას ახდენს პოლიტიკური ელიტების უკიდურესი რადიკალიზაცია მასობრივ პოლარიზაციაზე?
6. როგორ რეაგირებენ საქართველოში მოქალაქეები პოლიტიკური ელიტების უკიდურეს რადიკალიზაციაზე? შეიმჩნევა თუ არა რაიმე კონკრეტული რეაქცია ან დამოკიდებულება ფართო საზოგადოებაში?

7. რა პოტენციური გზები არსებობს საქართველოში უფრო საკითხებზე ორიენტირებული პოლიტიკური გარემოს გასაძლიერებლად? (რაიმე წარმატებული შემთხვევის შესწავლა).
8. რა პოტენციური შედეგები შეიძლება მოჰყვეს პოლიტიკური ელიტების უკიდურეს რადიკალიზაციას საქართველოს პოლიტიკურ სისტემასა და მმართველობაზე? როგორ აისახება ის საჯარო დისკურსზე, პოლიტიკის შემუშავებასა და დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე?
9. თქვენი აზრით, როგორ აისახება საქართველოში პოლიტიკური ელიტების უკიდურესი რადიკალიზაცია ქვეყნის ურთიერთობებზე საერთაშორისო პარტნიორებთან და მის პოზიციაზე გლობალურ ასპარეზზე?
10. რამეს ხომ არ დაამატებდით, რაზეც არ გვისაუბრია?

დანართი 2.

ფოკუს ჯგუფი სტუდენტებთან

1. ფოკუს ჯგუფი #1- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი 27 მაისი, 2023
2. ფოკუს ჯგუფი #2 - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 28 მაისი, 2023.
3. ფოკუს ჯგუფი #3 - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 02 ივნისი, 2023
4. ფოკუს ჯგუფი #4 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 04 ივნისი, 2023

ინტერვიუს გზამკვლევი ფოკუს ჯგუფისთვის

1. როგორ დაახასიათებდით საქართველოში არსებულ პოლიტიკურ კლიმატს? როგორ ფიქრობთ, არსებობს თუ არა ახალგაზრდებში პოლარიზაციის მაღალი ხარისხი იდეოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით?

2. გამოყავით ის ძირითადი პოლიტიკური საკითხები, რომელთა დაკავშირებით თქვენს თანატოლებს შორის ძლიერ პოლარიზაციას ამჩნევთ. რატომ წარმოშობს ეს საკითხები განხეთქილებას?
3. შეგიძლიათ გაგვიზიაროთ რაიმე პირადი გამოცდილება, როდესაც მონაწილეობდით პოლიტიკურ დებატებში ან დისკუსიებში, სადაც პოლარიზაციის მაღალი ხარისხი შეინიშნებობდა და რა იყო ძირითადი მიზეზები?
4. თანატოლებთან ურთიერთობისას შეგინიშნავთ თუ არა ჯგუფური აზროვნების რაიმე ნიმუში ან კონფორმულობა პოლიტიკურ შეხედულებებთან დაკავშირებით? როგორ აისახება ეს იდეების მრავალფეროვნებაზე და პოლარიზაციის პოტენციალზე?
5. რამდენად ღია ხართ თქვენ და თქვენი თანატოლები პოლიტიკურ საკითხებზე ალტერნატიული პერსპექტივების ან შეხედულებების მოსმენისა და განხილვისთვის? არსებობს რაიმე კონკრეტული გამოწვევები ან ბარიერები იდეოლოგიურ განსხვავებებს შორის კონსტრუქციულ დიალოგში ჩართვისთვის?
6. ყოფილხართ თუ არა ისეთ სიტუაციაში, როდესაც მოგიწიათ იდეოლოგიური განხეთქილების გადალახვა ან ურთიერთგაგების ხელშეწყობა სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის მქონე სტუდენტებს შორის? როგორი იყო თქვენი გამოცდილება მსგავს ინიციატივებთან დაკავშირებით?
7. რა როლი აქვს პოლიტიკურ ელიტებს ახალგაზრდებში პოლიტიკური დისკურსის ჩამოყალიბებაში? როგორ გავლენას ახდენს პოლიტიკური ელიტების უკიდურესი რადიკალიზაცია ახალგაზრდებში პოლარიზაციის ხარისხზე?
8. რომელი მედია საშუალებების ძირითად წყაროებს ეყრდნობით პოლიტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებისთვის? როგორ ფიქრობთ, ეს წყაროები ხელს უწყობს პოლარიზაციის გაღვივებას?
9. როგორ აღიქვამთ სოციალური მედიის როლს ახალგაზრდებში პოლიტიკური დისკურსის ჩამოყალიბებასა და პოლარიზაციაში? როგორ

ფიქრობთ, სოციალური მედიის პლატფორმები ხელს უწყობს „ექო პალატების“ შექმნას ან სხვადასხვა თვალსაზრისის გამოვლენას?

10. რამეს ხომ არ დაამატებდით, რაზეც არ გვისაუბრია?

(„ექო პალატა“, „echo chamber”-გამორიცხავს იმ ინფორმაციას, რომელიც ეწინააღმდეგება მათ შეხედულებებს. ხელს უწყობს ადამიანებმა მხარი დაუჭირონ იმ ინფორმაციას, რომელიც ამყარებს მათ იდეებს და უარყონ ინფორმაცია, რომელიც ეწინააღმდეგება მათ მოსაზრებებს.)

დანართი 3. ინტერვიუს გზამკვლევი ფოკუს ჯგუფისთვის (Vignette methods)

1. ნიკამ ახლახანს დაამთავრა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი წითელ დიპლომზე და ფიქრობს სად დასაქმდეს. ერთი შემოთავაზება არასამთავრობო ორგანიზაციისგან აქვს, მეორე - პარტიისგან. განიხილეთ რას ურჩევდით ნიკას.
2. ანა და გიორგი არჩევნებში მონაწილეობისათვის ემზადებიან, გენდერულ კვოტირებაზე განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. თქვენ რომელ მათგანს დაუჭერდით მხარს?

ანა თვლის, რომ გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად და თანაბარი წარმომადგენლობის ხელშეწყობისთვის აუცილებელია გენდერული კვოტირება და უნდა გაიზარდოს ქალების წარმომადგენლობითობა გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე.

გიორგის აღიარებს გენდერული თანასწორობის მნიშვნელობას. თვლის, რომ კვოტირებას შეიძლება ჰქონდეს არასასურველი შედეგები, დაირღვეს ინდივიდუალური მიღწევისს პრინციპები. ხაზს უსვამს ისეთი გარემოს შექმნის აუცილებლობას, სადაც თანაბარი შესაძლებლობები ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის, განურჩევლად სქესისა.

3. A და B პარტია განსაზღვრავენ საგარეო პოლიტიკურ კურსს. თქვენ რომელ პარტიას დაუჭერდით მხარს?

პარტია A მხარს უჭერს საქართველოს პროევროპულ საგარეო პოლიტიკის კურსს. პარტიის ლიდერები ღიად გამოხატავენ ევროკავშირში წევრობისკენ მისწრაფებას და ხაზს უსვამენ ევროპულ ღირებულებებთან, ინსტიტუტებთან შესაბამისობის მნიშვნელობას. თვლიან, რომ ევროკავშირთან უფრო მჭიდრო ინტეგრაცია მოუტანს ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობებს, პოლიტიკურ სტაბილურობას და უფრო დიდ ბაზარზე წვდომას. ისინი პრიორიტეტს ანიჭებენ ევროპულ ქვეყნებთან კავშირების განმტკიცებას.

პარტია B აქცენტს აკეთებს ქვეყნის ევროპულ მომავალზე, ამასთანავე ინარჩუნებს რუსეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობებს. ხაზს უსვამს რუსეთთან, როგორც მეზობელ სახელმწიფოსთან, ისტორიული, კულტურული, რეგიონული და ეკონომიკური კავშირების მნიშვნელობას.